სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი 24 ივლისი 1918 წ.

# ერთობა

ფასი 40 კაპ.

გაზეთის ღირს: 1 თვით 9 მანეთი ცალკე ნომერი ყველგან 40 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 15 მან. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული [illegible] ით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба". [illegible] გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 154 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 154

მწუხარებით გულ დაწყვეტილნი ოლა ზაქარიას ასული ჩხეიძისა, თამარა ზაქარიას ასული ლელაშვილი, გიორგი ივანეს ძე ჩხეიძე, გიორგი, ვასილ და ნატალია ჩხეიძენი, ელენე ლელაშვილი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ პირველი ორნი ძვირფას დედის, მესამე სიდედრის და უკანასკნელნი ძვირფას აღმზრდელ ბებიას გარდაცვალებას

**ნატალია პავლეს ასულის ლელაშვილისას**

რომლის გასვენება მოხდება ოთხშაფათს 24 ივლისს დღის 3 საათზე საკუთარ სახლიდან, ყუბანის ქუჩა № 5 და დაკრძალვა კუკიის წმინდა ნინოს სასაფლაოზე. (1—1)

---

ღრმა მწუხარებით ვაუწყებთ ამხანაგთ და ნათესავთ ძვირფასი დედის

**ნატალია პავლეს ასული ლელაშვილის**

დაკარგვას შვილები: გიორგი და ისაკო ზაქარიას ძენი ლელაშვილები; რძალი ელენე ზაქარიას ასული ლელაშვილისა, შვილის შვილი როზა ლელაშვილი. დაკრძალვა მოხდება 24 ივლისს, ოთხშაბათს, დღის 3 საათზე, კუკიის წმინდა ნინოს სასაფლაოზე. ცხედარს გამოასვენებენ ყუბანის ქ. № 5. სახლი ჩხეიძისა. (1—1)

---

22 მკათათვეს გარდაიცვალა ნაძალადევის მოწინავე მუშების წრეში კარგათ ცნობილი ჩვენი სოც. დემ. მუშ. პარტ. მოამაგე

**ნატალია პავლეს ასული ლელაშვილისა**

ვსთხოვთ ამხანაგთ და ნათესავთ პატივი გვცენ დაკრძალვაში მონაწილეობის მიღებით. დაკრძალვა მოხდება 24 მკათათვეს, წმინდა ნინოს სასაფლაოზე. ცხედარს გამოასვენებენ ნაშვადღევის 3 საათზე, ყუბანის ქ. № 5. სახლი ჩხეიძისა, რასაც მწუხარებით ვაცხადებთ მისი ქალი ლიუბა და სიძე გიორგი ანტ. ნინუები. (1—1)

---

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე ალექსი ოტიას ძე ბერიძე, ბიძა ილია დავითის ძე მამულაიშვილი მეუღლით, გულდათუთქულნი დები მაშიკო გოგიტიძისა, ფატუშა მიქელაშვილისა და გოგოლა ვაშალომიძე, ძმა მიხეილ ნაკაშიძე ოჯახობით, სიძე ანტონ კვაშალი და ალექსი მიქელაიშვილი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 25 ივლისს დღითი ხუთშაბათს ქ. ოზურგეთში ექადიის სასაფლაოზე გადახდილ იქნება ექვსი თვის წირვა და პანაშვიდი უდროვოდ დაკარგული, დაუვიწყარი და საყვარელი

**კატო ბერიძისა ზიგო ვაშალომიძის**

ასულის. (1—1)

---

გულ დათუთქულნი დედა ნატალია ივანეს ასული, და ანეტა, ბიძაშვილები გამოუთქმელ მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ

**ლადო ზაქარიას ძე გარსევანიშვილის**

უეცრათ გარდაცვალებას, რომლის დასაფლავება მოხდება დღეს 24 მკათათვეს სოფ. მცხეთაში. (1—1)

---

მცხეთის სახალხო გვარდია ღრმა მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს და ნაცნობებს წითელ გვარდიელის

**ლადო ზაქარიას ძე გარსევანიშვილის**

უეცრათ გარდაცვალებას, რომლის დასაფლავება მოხდება დღეს 24 მკათათვეს სოფელ მცხეთაში. (1—1)

---

1918 წ. 25 ივლისიდან ქ. თფილისში გამოდის მთავრობის მოამბე ყოველდღიური გაზეთი ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით

## „საქართველოს რესპუბლიკა"

გაზეთი ღირს 1 თვით 10 მანეთი, ცალკე მომერი ყველგან 40 კაპ, სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით, რედაქციის და კანტორის მისამართი: ქ. თფილისი, ბარონის ქუჩა № 6.

(3—2) რედაქტორი პ. დ. საყვარელიძე.

---

## განცხადება

ომში დასახიჩრებულთა დამხმარე თფილისის საქალაქო კომიტეტი მოუწოდებს თფილისში მცხოვრებ ომში დასახიჩრებულთ გამოცხადდენ 11 საათიდან 2 საათამდე კომიტეტის ბინაზე სარეგისტრაციოთ. (პასტეროვის ქუჩა, 10) დასახიჩრებულთ თან უნდა ქონდეთ ექიმის მოწმობა დაჭრის შესახებ, რომელთაც მოსვლა არ შეუძლიათ მათ უნდა გამოგზავნონ თავიანთი ბინის ადრესი, რის შემდეგ კომიტეტის მიერ დანიშნული კომისია ეწვევა მათ ბინაზე ჩასაწერათ.

(1—1) კომ. გამგეობა.

---

## კავკავის ქართული სკოლისათვის

**საჭიროა სამი მასწავლებელი.** მასწავლებელს წლიური ჯამაგირი ექნება 3600 მანეთი.

მსურველთ თხოვნა საჭირო დოკუმენტებით უნდა წარუდგინონ ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების მთავარ გამგეობას, ან კავკავის განყოფილების გამგეობას, კავკავი, ქართული სკოლა, გამგეობას. (3-3)

---

## განცხადება

იმ პირთ, რომელთაც სურვილი აქვთ მიიღონ მანქანაზე სამუშაო ადგილი ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროში და უკვე შემოტანილი აქვთ შესაფერისი თხოვნა, ევალებათ გამოცხადნენ აღნიშნულ სამინისტროში გამოსაცდელად პარასკევს ამა ივლისის 26 დილის 11 საათზე. ქართული ენის ცოდნა სავალდებულოა. (1—1)

---

## დამოკიდებლობის გარშემო

საქართველოს დამოუკიდებლობა დღემდე სადაო საგნათ არის გადაქცეული. რასაკვირველია არა საქართველოში მომქმედ პარტიებისა და ჯგუფებისთვის, არამედ იმ ელემენტებისთვის, რომელთა ინტერესები საკმაოთ შეილახა ამ დამოუკიდებლობის გამოცხადებით.

მაგრამ პირდაპირ ამას თითქმის არც ერთი მიმდინარეობის მიმდევარი არ სწერს. თვითეული ცდილობს სხვადასხვა საფარს ამოეფაროს. რუსული გაზეთი „სოც. დემ.", სადაც ჩვენი რუსი პარტიული ამხანაგების უკმაყოფილო ნაწილი თანამშრომლობს, გვაბრალებს რუსეთის მთლიანი ფრონტის დარღვევას.

სოც.-რევოლიუციონერებისგან გამოყოფილი ჯგუფი, რომელიც „ტრუდოვოე ზნამიას" გარშემოა მოკალათებული, გვებრძვის ტაქტიკურის მოსაზრებით. კადეტები გვიწუნებენ სახელმწიფოებრიობის არ ცოდნას. ერთი სიტყვით, ყველანი რაიმე გარეშე საგანს ებღაუჭებიან, მარა დასკვნა ყველას ერთი გამოჰყავს: რუსეთს არ უნდა ჩამოშორებოდითო.

ჩვენ არა ერთხელ აღგვინიშნავს, რომ რუსეთი თვითონ ჩამოგვშორდა ჩვენ. ჩამოგვშორდა, როცა რუსის ჯარი წავიდა, ფრონტი ოსმალებს მიუტოვა და ჩვენ კი მძიმე ტვირთათ დაგვაწვენ ფრონტის დაწესებულებანი და მოხელეები. რუსეთი, როგორც სახელმწიფო ჩამოგვშორდა, როცა აქ დარჩენილმა რუსეთის აფიცრობამ 1000-ზე მეტმა თავი ექსტერიტორიალურათ გამოაცხადა და ქვეყნის დაცვაში მონაწილეობაზე უარი სთქვა.

მაშასადამე, აქ ჩვენს სეპარაციაზე და სეპარატიულ ტენდენციებზე ლაპარაკი ზედ მეტია. ჩვენ რომ გვქონოდა სურვილი გათიშვისა, ამას წინეთაც ვიტყოდით. თუ თვითმპყრობელობასთან ბრძოლაში არ გვეშინოდა თავისუფალ სიტყვის თქმის, ამ საკითხში რათ უნდა დავმფრთხალიყავით? მაგრამ თვით მოწინააღმდეგეებმაც იციან, რომ ჩვენ ჩამოგვაშორა ისტორიულმა აუცილებლობამ, საქმის ვითარებამ. ამიტომ ყველა, ვინც შეიგნო საქმის ნამდვილი მდგომარეობა, ვინც მოწინავეთ და შეგნებულათ ითვლება — ჩვენი ახალი ნაბიჯი და წინანდელ ჩვენი მოქმედებით მოულოდნელი, მაინც გაიგო და დაადასტურა.

ეჭვი არაა, ჩამორჩენილ კუთხეებში ასეთ შეგნებას ჯერ კიდევ არ აქვს ადგილი. და ერთი ნაწილი გლეხობისა, ნაწილი მცირე და ჩვენ ვამტკიცებთ, შეუგნებელი, მოძრაობაში აქამდე ჩამორჩენილი, დღესაც ვერ ითვალისწინებს შექმნილ პირობებს. მაგრამ ამის მოყვანა საბუთათ იმისა, თქვენ უტაქტო ნაბიჯი გადადგითო, ყოვლად შეუწყნარებელია.

ცხადია, რუსეთისთვის თვით ის პირებიც არ მოისურვებდენ ასეთ გზაზე დადგომას, რომელსაც ჩვენ გვარჩევენ, ე. ი. ცდას მანამდე, სანამ ჩამორჩენილი ნაწილი შეიგნებდეს ამა თუ იმ ნაბიჯის საჭიროებას და მერე მის გადადგმას.

მაგრამ, როცა ტაქტიკურ მოსაზრებებით ხსნიან დამოუკიდებლობის გამოცხადებას—და ამ ნიადაგზე გვებრძვიან, ეს პირდაპირ საკითხის გამარტივებაა.

დამოუკიდებლობა დიდი ისტორიული ნაბიჯია, რომელსაც შეიძლება მთელი საუკუნოებით ექნეს გავლენა ერის ბედზე და როცა ასეთ ნაბიჯს გადადგამს პარტია, მან ცხადია ბევრი სხვა მოსაზრებაც უნდა მოიყვანოს და არა მარტო ტაქტიკური.

ალბათ ესერებს გონიათ, რომ ჩვენ დღეს გამოვაცხადეთ დამოუკიდებლობა ტაქტიკური მოსაზრებით, ხვალ ამას ასეთივე მოსაზრებით უარვყოფთ? და ამიტომ ასე ებღაუჭებიან ამ საბუთს. ამაოთ.

დამოუკიდებლობის გამოცხადება ისტორიული აქტია, და მას ტაქტიკურის მოსაზრებებით ვერავინ გააუქმებს. დიდი ისტორიული ქარტეხილია საჭირო, ისეთი, როგორიც ამ ჟამათ განვიცადეთ დიდი რევოლიუციის და მსოფლიო ომის სახით, რომ ეს გზა შევცვალოთ ჩვენ არ გვგონია, თუ ამას მტკიცება ესაჭიროებოდა.

მართალია, ეს აქტი იყო იძულებითი, ესე იგი იგი ისტორიამ დაგვაკისრა წინააღმდეგ ჩვენი წინასწარი მისწრაფებისა, მარა მით უფრო მეტი სიძლიერით ვგრძნობთ ჩვენ მის აუცილებლობას და მის გადამწყვეტ მნიშვნელობას ჩვენი ერისა და ჩვენი პარტიის მომავლისათვის. ჩვენ მეოცნებე იდეალისტები არა ვართ, რომ ცხოვრების მსვლელობის უკუღმა შეტრიალებაზე ვიოცნებოთ და ჰაერში კოშკები ვაშენოთ.

სინამდვილემ გვიკარნახა დამოუკიდებლობა, პრინციპი ჩვენი პარტიის არ ეწინააღმდეგება ამას და ამ რიგათ ჩვენ სრულის უფლებით გადავდგით ეს ნაბიჯი.

ჩვენ ამით გვინდოდა გვეხსნა ერი და დემოკრატია გაჟლეტისაგან. და გვგონია, რომ ამ მიზანს რამდენიმეთ მაინც მივაღწიეთ. გერმანიის იმპერიალიზმისთვის სამსახურს რომ გვდებენ ბრალად, ეს მხოლოდ ჰოტენტოტური მორალით არის გამოწვეული, თორემ რატომ წინეთ, როცა რუსეთის სახელმწიფოს ერთგული ვიყავით, არ გვდებდენ ბრალს რუსეთის იმპერიალიზმის სამსახურში? განა რუსეთთან უფრო მჭიდროთ არ ვიყავით დაკავშირებული, ვინემ დღეს ვართ გერმანიასთან?

აქ ჩვენ ლაპარაკი გვაქვს ყველგან რუსეთის სახელმწიფოზე და არა რუსეთის დემოკრატიაზე. ამ უკანასკნელთან ჩვენ კავშირი რასაკვირველია არ გაგვიწყვეტია. ასეთი ბრალდების წამოყენება ჩვენ წინააღმდეგ მხოლოდ გადამეტებული გაბოროტებით აიხსნება. მართალია, ჩვენ ერთი ორგანიზაციის ფარგლებში აღარ ვართ, მაგრამ განა აქამდე ერთი ორგანიზაციის ფარგლებში ვიყავით მაგ. გერმანიასთან, ინგლისთან და საფრანგეთთან? მაგრამ მოღალატეობა და ერთ ფრონტის დარღვევა იქაურ [illegible] ლებია მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი მიჯნის იქითა მხარეს ცხოვრობენ. ან რომელ დროიდან შეიქნა სახელმწიფოს მიჯნა მუშათა კლასის გამთიშველ დაწესებულებათ? განა ინტერნაციონალი ამ მიჯნების გადალახვაში არ გამოიხატება? და ჩვენ ახლაც ისეთსავე ნათესაობას ვგრძნობთ ყველა ქვეყნის და მათ შორის რუსეთის დემოკრატიასთან, როგორც აქამდე. თუ ცხოვრებამ ცალკე დამოუკიდებელ სახელმწიფოში ცხოვრება დაგვაკისრა, ამით ჩვენი ინტერნაციონალურ იდეური ურთიერთობა და სოლიდარობა არ მოუსპია. პირიქით ჩვენ ახლაც ისეთივე ნაწილი ვართ საერთაშორისო პროლეტარიატის, როგორც დღემდე და საერთაშორისო მუშათა კლასიც ისე შეგვხედავს, როგორც მის ერთ პატარა რაზმთაგანს, რომელიც ველურ ხალხთა შორის ჩავარდნილი, გმირულათ უმკლავდება ყველა დაბრკოლებებს, რომ დემოკრატიის და სოციალიზმის დროშა უჩვეულო, უმაგალითო პირობებშიაც კი მაღლა დაიჭიროს და ამით სათანადო ადგილი მოიპოვოს მომავალი კაცობრიობისთვის მებრძოლთა შორის.

## კიდევ ეკონომიური ბრძოლის შესახებ

არა თუ სოციალ-დემოკრატისთვის, ყველა ცოტათ თუ ბევრათ შეგნებულ მუშისთვისაც ნათელია, რომ ეკონომიური ბრძოლა, თუ შესაფერ კალაპოტში არ არის ის ჩაყენებული, ხარგებლობის მაგიერ მხოლოდ ზარალს მოიტანს. ცხოვრების ნორმალურ პირობებში ეს საანბანო ჭეშმარიტება ყველას კარგათ ახსოვს და მუშების ეკონომიური ბრძოლაც შესაფერათ მიმდინარეობს. მაგრამ ისეთს გარდამავალ ხანაში, როგორშიაც დღეს ჩვენ ვცხოვრობთ, ხდება ყველა ღირებულების გადაფასება და რაც გუშინ სასახელოთ ითვლებოდა, მას დღეს ფასი ეკარგება.

ჩვენ ეს უკვე აღვნიშნეთ ამ რამდენიმე დღის წინეთ, როცა შემთხვევამ მოიტანა და ბეჭდვითი საქმის მუშათა პროფესიონალურ კავშირის ულტიმატუმს შევეხეთ.

ჩვენ საჭიროთ მიგვაჩნია ერთხელ კიდევ გავიმეოროთ იქ გამოთქმული აზრი ამ საკითხის შესახებ, რადგან ის ფრიად მნიშვნელოვანი და დამაფიქრებელია. რა ვთქვით ჩვენ აღნიშნულ წერილში? ჩვენ დავძრახეთ კავშირის გამგეობა იმისთვის, რომ მან ერთის მხრით გადამეტებული მოთხოვნები წარმოადგინა, ხოლო მეორე მხრით იმისთვის, რომ ამ მოთხოვნებს ულტიმატუმის ხასიათი მისცა და წინასწარი მოლაპარაკების გამართვა არ მოისურვა.

ჩვენ ვიცით, თუ რას იტყვიან მუშები: ისინი უეჭველათ დაასახელებენ იმ აუტანელ სიძვირეს, რომელიც დღეს არსებობს. ცხადია, ჩვენ ვერ დავტოვებთ უყურადღებოთ ამ გარემოებას. მაგრამ არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ კავშირის მოსაზრება ცალმხრივი და დაუსაბუთებელია.

სამუშაო ქირის რაოდენობაც ერთნაირ კანონს ექვემდებარება და გულუბრყვილობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ერთი რომელიმე დარგის მუშებს შეუძლიათ პრივილეგიურ პირობებში ჩადგენ. ჩვენ ვიცით, თუ რა მცირე გასამრჯელოს იღებენ რკინის გზის და ფოსტა-ტელეგრაფის მოღვაწენი და სოფლის მასწავლებლები. ჩვენ სრულაც არ ვთვლით იდეალურათ ან სასურველათ ამ უკანასკნელების მდგომარეობას, მაგრამ ბეჭდვითი საქმის მუშებმა რომ ერთბაშათ იმდენი მიიღონ, რამდენსაც ითხოვენ, მაშინ ამავე ლოღიკით ხომ სხვებმაც უნდა მოითხოვონ ჯამაგირების ისეთივე გადიდება.

ამას კი დღევანდელი ხაზინა ვერ წარმოება ვერ შესძლებენ და თუ კი გადამეტებული მოთხოვნები დააუძლურებენ სახელმწიფოს და ძირს გამოუთხრიან წარმოებას, იმ შემთხვევაში ჩვენ არ შეგვიძლია. გულგრილათ ვუცქიროთ ამ გარემოებას იმ განზრახვით, რომ ზოგიერთ შეუგნებელ მუშების გული მოვიგოთ. ეს მით უფრო მისაღებია სახეში, რომ დღეს არსებული ცხოვრების სიძვირე გამოწვეულია ანარქიით, რომლითაც ასე მოხერხებულათ სარგებლობენ სპეკულიანტები. მუშებს არ შეფერით ამ სპეკულიაციის გავლენით თვითონვე მიმართონ იმავ მეთოდებს, რომელსაც სპეკულიანტები მიმართავენ. ყოველ შემთხვევაში საჭიროა ანგარიში გაეწიოს მოსალოდნელ კრიზისს და გადაიჭრას სასურველია თუ არა დილემა. წამოყენებულ მოთხოვნების განხორციელება და ბეჭდვითი სიტყვით ნაწარმოების გაძვირება, თუ წარმოებას შეჩერება და უმუშევართა რიცხვის კიდევ უფრო გადიდება. და რადგან მდგომარეობის ასეთი გართულებაა მოსალოდნელი, ნუ თუ საჭირო არ იყო მოლაპარაკების გამართვა და საქმის მორიგებით გათავება.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამის დრო კიდევ არის და კავშირი თავის მოვალეობას აასრულებს, თუ ასეთი მოლაპარაკების გამართვას შეუდგება.

## პრესა

რუსული „სოციალდემოკრატი" კვლავ თავის წმინდა ჩვეულებას მისდევს. საქართველოს დამოუკიდებლობას ჩაკირკიტებს, თითქოს ქვეყნათ ერთათ ერთი ბოროტება იყვეს ჩვენი დამოუკიდებლობა, და თუ ის ამოიფხვრა, დაუყონებლივ დამყარდება ალბათ სამოთხე და კაცთა შორის სათნოება.

აი მაგ. ბაქო აქამდე არ აუღიათ თათრების და ოსმალების ჯარს. საქართველოს რესპუბლიკა კი იძულებული გახდა ზავი შეეკრა და მფარველიც გამოეძებნა. მერე იცით, რისი ბრალია ეს? საომარ ძალას რა იძლევა? აბა გამოიცანით... რუსეთის ორიენტაცია.

აი სიტყვა-სიტყვით დაუჯერებელი მკითხველო:

„უმთავრესი მიზეზი ბაქოელთა სიძლიერის, ჩვენის შეხედულებით, არის ის გარემოება, რომ ბაქოს არასოდეს არ გაუწყვეტია იდეური და ზნეობრივი კავშირი რუსეთთან, რამდენათაც ჩვენ ვიცით, მიუხედავათ მწვავე ეროვნულ ურთიერთობისა, მიუხედავათ გაჭირვებულ მძიმე მდგომარეობისა, რომელიც ხშირათ აუტანელი ხდებოდა, არც ბაქოს მუშათა მასსაში, არც მის ყველაზე გამოჩენილ ხელმძღვანელთა შორის სეპარატისტულ მისწრაფებას არ ქონია კრედიტი, არ ყოფილა საგანი არც აშკარა და არც ფარული ზრახვებისა".

აი ნუ შერცხვება ახლა საქართველოს დემოკრატიას. ბაქო ღონიერია ბალშევიკურ რუსეთთან ზნეობრივი კავშირით, საქართველო კი სუსტია ამ კავშირის გაწყვეტის გამო.

მარა თუ ასეა მკითხველო, თუ მხოლოდ იდეური კავშირი რუსეთთან ისეთ ძალას წარმოადგენს, რამდენათ ძლიერი უნდა იყოს თვით რუსეთი! რა უძლევ ელ გმირს უნდა წარმოადგენდეს იგი? და ჩვენ ხომ ვიცით, ეს დევ-გმირობა რუსეთისა.

ნეტა თუ აძლევენ თავის თავს ანგარიშს „სოც.-დემ." თანამშრომლები, როცა ასეთ უგნურ დემაგოგიას გვაწვდიან მეცნიერულ აზრათ და ახსნა-განმარტებათ.

* *
*

იგივე გაზეთი არა ერთხელ ჩავარდება ასეთ უხერხულ მდგომარეობაში, თუ კრიტიკანობის ჟინს მალე არ შეაკვეცა ფრთები. ჟინი კრიტიკანობისა—მეტათ უვარგისი ხელმძღვანელია სერიოზული მწერლისათვის.

„სოციალ-დემოკრატის" თანამშრომელს Nemo ს კი ასეთ სერიოზულობაში ვერ დავდებთ ბრალს. მისთვის სულ ერთია იცნობს საგანს თუ არა. მაინც სწერს მაზე და ესვრის ტალახს სოციალდემოკრატიულ პარტიას.

აი მაგალითიც. ამ ავტორმა არ იცის ნამდვილი შინაარსი მოქალაქეობის (ქვეშევრდომობის) კანონის, რომელიც საბჭომ მიიღო. ამას თვით ილიარებს (ს.-დ. № 7 იხ. საკვირაო), მაგრამ მაინც ასეთ ტირადას გვიძღვნის.

ავტორის მოსაზრებით ახალ სახელმწიფოს თავდაპირველად უეჭველად დასჭირდება უცხო ქვეშევრდომების შრომით და ცოდნით ისარგებლოს. ეს უდავოა. მაგრამ აი როგორ გვამკობს იგი ამის გამო:

„ეს შეიგნო ნ. ნ. ჟორდანიამ და ნ. ვ. რამიშვილმა, მარა ჩვენმა ფრაქციამ უარყო მათი შესწორება და ნაციონალისტურ მოსაზრებებს შესწირა მსხვერპლად პოლიტიკურ მიზან-შეწონილების პრინციპები".

და შემდეგ რომის ცენზორივით გვიკითხავს დარიგებას:

„ეს კურსი, აღებული პარტიისაგან დაასუსტებს მათი ბრძოლის შედეგებს ნაციონალ დემოკრატებთან;—ფაქტები ძლიერია სიტყვებზე და ვინც ხედავს ფაქტებს, სიტყვებს არ დაუჯერებს".

როგორც ხედავთ, მომაკვდინებელ ცოდვას, ნაციონალისტობას სწამებენ ჩვენს ს.-დ. ფრაქციას. მერე აქვს ამის საბუთი ავტორს?

ჩვენ ვამბობთ რომ არა. ჩვენ ვამტკიცებთ მეტსაც. მას არ ესმის რაზე სწერს. იგი მხოლოდ ქვას გვესვრის და შემდეგ ნატაციებს გვიკითხავს.

ნამდვილათ საქმე ასე იყო.

3 მუხლის ძალით უცხო ქვეშევრდომებს არ აქვთ პოლიტიკური უფლებები საქართველოში, მაშასადამე არც მართველობის ორგანოებში შეუძლიათ ადმინისტრატიული თანამდებობის დაჭერა. ეს კი შეუშლიდა ხელს მთავრობას შემოქმედებით მუშაობაში და ჩვენ შენიშვნა გავუკეთეთ ამ მუხლს რომელშიაც აღნიშნულია, რომ დროებით, სანამ სახელმწიფო თავის საკუთარ ძალებით დაკმაყოფილებას შესძლებდეს, უცხოელების უნდა დაშვებულ იქნენ ადმინისტრატიულ თანამდებობაზე.

ასეთი იყო აზრი ფრაქციის. მთავრობა კი იმ აზრის იყო, რომ ეს უფლება მას უამისოთაც ექნება, და რომ ამიტომ შესწორება ზედმეტია. ნაციონალ-დემოკრატები მიხვდენ, რომ მთავრობას განმარტება არ არის კანონის განმარტება. მით უმეტეს რომ კანონ-პროექტი წარმოდგენილ იყო კომისიის და ჩვენი ფრაქციის ინიციატივით. და ამიტომ ნ. ჟორდანიას წინადადებას, რომ ეს შენიშვნა ამოგვეშალა, სწორეთ ნაციონალ-დემოკრატებმა დაუჭირეს მხარი, იმ რწმენით, რომ შემდეგ დაუყონებლივი ნაციონალიზაცია მოეთხოვათ. მომხსენებელმა აღნიშნა კიდეც ეს გარემოება და მიუთითა საბჭოს მოსალოდნელ საფრთხეზე მარჯვნიდან თუ შენიშვნას უარვყოფდით. და სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ თავის ხმებით—მარჯვენა სექტორის წინააღმდეგ მიიღო ეს შენიშვნა. ამით ს.-დ. ფრაქციამ მაგარი ლაგამი ამოსდო ნაციონალისტებს და ხელი გაუხსნა მთავრობას კანონიერ გზით და არა მხოლოდ საეჭვო განმარტებებით. ცხადია აქ დავა არ იყო ს.-დ. ფრაქციას და მთავრობას შორის პრინციპებზე. ორივე იცავდენ იმ აზრს, რომ დაუყონებლივ ნაციონალიზაცია მავნებელია. სადავო იყო მხოლოდ ის, დამაკმაყოფილებელი იყო მთავრობის განცხადება კანონის ახსნა განმარტების შე-

სახეზ, თუ სჯობდა კანონში ეს მკაფიოდ და ვარკვეულად ყოფილიყო აღნიშნული. ფრაქციამ ირჩია მეორე. და ეს არის განა ნაციონალისტობა ჩვენი ფრაქციის?

ცხადია არა. ეს არის მხოლოდ ბოროტი სურვილი ბ ნ Nemo-სი. ბრალიანსა თუ უბრალოზე ფრაქციის სახელის გატეხის.

მაგრამ ასეთი წერილებით იგი მხოლოდ იმ გაზეთს გაუტეხს სახელს, რომლის ფურცლებზედაც ათავსებს თავის ნაცოდვილვარს.

## ნაციონალური სუვერენიტეტი

რა არის ხალხის სუვერენიტეტი?—ეს ფრიად საინტერესო კითხვაა ჩვენთვის. დღეს ბევრს ლაპარაკობენ საქართველოზე და მის უზენაესობაზე, ჩვენი ერის სუვერენიტეტსა და ხელშეუხებლობაზე; რა შინაარსით უნდა გვესმოდეს ჩვენ ეს სიტყვა?

მარქსისტული მეთოდით რომ ვიმსჯელოთ, რასაკვირველია, შეუძლებელი იქნებოდა ამ სიტყვაში ერთი აზრი, მუდმივი და უცვლელი შინაარსი მოგვეთავსებინა: მისი არსი სხვადასხვა დროსა და ისტორიულ სტადიაში სხვადასხვა იყო, თანდათან იცვლებოდა და ვითარდებოდა. თავის იდეალური შემეცნებით კი ეს პრინციპი გულისხმობს ხალხის ნების სრულ განმტკიცებას, მთელი ერის (უკეთესად, მის უმრავლესობის) თვითმპყრობელობას, თვითბატონობას, ყოველგვარ დამოკიდებულ მდგომარეობის სრულ უარყოფას, როგორც შიგნითი, ისე გარეშე ძალებისაგან. „ეს არის ის დიდი პრინციპი, რომლის ძალით უმაღლესი ძალა-უფლება სახელმწიფოში ეკუთვნის მხოლოდ და მხოლოდ მთელ ხალხს, თვით ნაციას“,—ამბობს ამის შესახებ მაგაზინერი *).

ეს პრინციპი არის უმშვენიერესი და უკეთილშობილესი ხალხის ყველა გულწრფელი მოკეთისა და ჭეშმარიტი დემოკრატისთვის. მაგრამ კარგი პრინციპი ხშირად თავის უარისყოფად იქცევა, იმისდა მიხედვით, თუ ვის ხელში იქნება იგი ხმარებული. აგრეთვე ისიც მართალია, რომ თუ საერთოდ რომელიმე პრინციპს ფეტიშად გადავაქცევთ, მაშინ ამით ჩვენ საბოლოო იდეალს მხოლოდ ზიანს მოვუტანთ. მე აქ მინდა ვსთქვა, რომ საერთოდ ყოველი ფეტიში მავნებელია, მეტადრე იმ კლასისთვის, რომელსაც ჩვენ ვემსახურებით. ამიტომ ყოველ პრინციპს მეტის კრიტიკით უნდა მოვეპყრათ და მუდამ ვცდილობდეთ ჩვენის თვალსაზრისით მის განმარტებას, ფრჩხილების გახსნას და შინაარსის გამოჩენას, როცა კი დარწმუნებული ვართ, რომ მას (პრინციპს) სულ სხვა აზრით და მიზნით ხმარობენ მისი მტერ-მოყვარენი.

იდეას ეროვნული სუვერენიტეტისას, გრძელი ისტორია აქვს. ეს ლოზუნგი იმ თავითვე იპყრობდა ყველას ყურადღებას და ხშირად რომელიმე მოძრაობა — რელიგიური, სოციალური თუ ნაციონალური—შეიძლება სხვა აზრით იყო გამოწვეული, მაგრამ მის დროშაზე უპირველესად ყოვლისა ეს სიტყვები ეწერა: „ხალხის თვითმპყრობელობა, ერის სუვერენობა“. ხშირათ სხვადასხვა კლასი და ჯგუფი ეწეოდა სპეკულიაციას ამ პრინციპით, თავის ბატონობის განსამტკიცებლად, რომელსაც სარჩულად მუდამ კლასიური ეგოიზმი ედვა, რადგანაც ეროვნული სუვერენიტეტის იდეა მეტად მიმზიდველი ძალის მქონე იყო და არის დღესაც.

ეროვნული სუვერენიტეტის იდეის სიძლიერე ყველაზე აშკარად და ნათლად გამოიხატა საფრანგეთის დიდი რევოლიუციის დროს. ამას მოწმობს შესანიშნავი ნაშთი, რომელსაც ეხლაც დიდი მნიშვნელობა აქვს, ცნობილი „უფლებათა დეკლარაცია“, გამოქვეყნებული 1793 წელს, რომელიც აღიარებს, რომ „სუვერენიტეტის ყოველი პრინციპი ეკუთვნის ნაციას; არავითარ კოლეგიას, არავითარ ინდივიდუმს არ შეუძლია ისარგებლოს უფლებით, რომელიც თვით ნაციისგან არ გამომდინარეობს: სუვერენიტეტი არის ერთი, განუყოფელი და დაუნაწილებელი, რომელიც მხოლოდ ხალხისაა“! მაგრამ ამ იდეის გარკვევით ჩამოყალიბება ეკუთვნის უფრო ადრე ჟ. ჟ. რუსსოს, როცა მან დასწერა და გამოსცა თავისი „საზოგადოებრივი ხელშეკრულობა“ 1762 წელს.

საფრანგეთის რევოლიუციის ამ ლოზუნგს გარეგნულად თითქოს ზეკლასიური ხასიათი ჰქონდა, მაგრამ არსებითად კი იგი იყო ბურჟუაზიის ბატონობის განმამტკიცებელი, რადგანაც ამ დროს ბურჟუაზია გამოხატავდა მთელი ნაციის მისწრაფებას და სულისკვეთებას. ეს ლოზუნგი—ხალხის თვითმპყრობელობისა—მიმართული იყო მაშინ მეფის თვითმპყრობელობის დამხობისაკენ, რომლის შედეგათ ისტორიულის აუცილებლობით დამკვიდრდა ბურჟუაზიის ბატონობა. ევროპის ყველა ბურჟუაზიულ რევოლიუციებს, მიუხედავად იმისა, რომ იგინი გამოდიოდენ ხალხის სუვერენიტეტის განმტკიცების სახელით, შედეგათ მოჰყვა ბურჟუაზიის სუვერენობა. რათ მოხდა ასე? ასე მოხდა იმიტომ, რომ ბოლოს და ბოლოს იურიდიულ სუვერენიტეტს ჰქმნის ეკონომიური „სუვერენიტეტი“; დაწინაურებული წარმოების ფორმის მატარებელი კლასი იმარჯვებს მუდამ ჩამორჩენილზე და სახელმწიფოებრივი მესაჭეობაც მის ხელში გადადის, ე. ი. იურიდიულ სუვერენიტეტის მატარებლად ეს ახალი კლასი ხდება. მაშასადამე იურიდიული სუვერენიტეტისთვის აუცილებლივ საჭირო ყოფილა ეკონომიური სუვერენიტეტი, ამ უკანასკნელის პატრონად კი—როგორც იგივე ავტორი ამბობს—არის კლასი—ორგანიზატორი არსებულის წარმოების წესისა და ეს მისი სუვერენიტეტი მდგომარეობს არა მარტო იმაში, რომ მას შესწევს ეკონომიური ძალა შეებრძოლოს ყველას, ვინც მიდის მის ორგანიზატორული ფუნქციების დაპყრობისაკენ და მაშასადამე მისი (კლასის) ეკონომიური ძლიერებისა და უპირატესობის წინააღმდეგ, არამედ იმაშიც, რომ მას მართლაც შესწევს ძალა შეინარჩუნოს ასეთი მდგომარეობა და აშკარად დაამარცხოს თავისი ეკონომიური მოცილეები. **) ამ ეკონომიურ სუვერენობაზე არის დამოკიდებული პოლიტიკური და იურიდიული უზენაესობაც სახელმწიფოში, მაშასადამე ბურჟუაზიულ ურთიერთობაში საერთოდ იგი კლასიურია, რომელიც მუდამ იკაზმება მთელი ერის უზენაესობის ტანთსაცმელში.

აქედან ლოღიკურად გამომდინარეობს ის დებულება, რომ მომავალი დიქტატურა პროლეტარიატისა იქნება საუკეთესო, იდეალური გადაჭრა იმ საკითხისა, თუ ვის ხელში უნდა იყვეს ეროვნული სუვერენიტეტი. აშკარაა, იგი იქნება ერის დიდი უმრავლესობის, ცხრა მეათედის ხელში, მაშასადამე მთელი ერი იქნება თვით მატარებელი ამ იურიდიული და ფაქტიური უზენაესობის და ეს მოხდება მაშინ, როცა დადგება დრო თვით კლასების მოსპობისა და მათ ალაგს ახალი სოციალური ორგანიზაცია დაიჭერს. აქედანვე აშკარად სჩანს, რომ პირველი დამცველი სრული ეროვნული სუვერენიტეტისა, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, ჭეშმარიტად არის პროლეტარიატი.

მაგრამ ჩვენ გვაინტერესებს აქ ერთი პრაქტიკული კითხვა: როგორ და ვის ხელში უნდა იყვეს სუვერენიტეტი საქართველოში დღეს? მართალი არიან, ან ფორმალურად, ან ფაქტიურად, ნაციონალისტები, როცა ისინი ილაშქრებენ ჩვენი ეხლანდელი მთავრობის და პარლამენტის—ეროვნული საბჭოს—წინააღმდეგ? ჩვენ გადაჭრით შეგვიძლია ვსთქვათ, რომ არა, არ არიან მართალნი, ვინაიდან სხვაგვარი არსებობა საქართველოს უზენაესობის, გარეშე დღევანდელისა, თუ ის მართლა უზენაესობა იქნება და არა ფიქცია, წარმოუდგენელია. ჩვენში ეკონომიურად ბატონობს წვრილი მეურნეობა, როგორც სოფელში, თითქმის ისევე ქალაქში, ჩვენი ერი ფართო დემოკრატიული ერია, რომელიც უმთავრესად სოციალური დემოკრატიის იდეოლოგიის გავლენის ქვეშ იმყოფება. თუ არსებობს პროგრესიული ბურჟუაზია, ისიც დემოკრატიულად განწყობილია და დემოკრატიასთან მუშაობას სრულიად არ გაურბის, ამიტომ იურიდიული სუვერენიტეტიც სწორედ ამ კლასებს და ჯგუფებს უნდა ეკუთვნოდეს, თუ კი გვინდა, რომ ის ჭეშმარიტად ეროვნული და დემოკრატიული იყოს და არა „ეროვნულ-დემოკრატიული“, რომელიც, როგორც აშკარათ გამოირკვა, ემყარება გარდამავალ ეკონომიურ ფორმებს და მის მატარებელ წოდებას, რომელთაც დრო მოჭამეს და შეუძლებელია ეს ჩამორჩენილი და გადაგვარებული სამეურნეო ურთიერთობანი პოლიტიკურ და იურიდიულ სუვერენიტეტში გამოჰკრთოდეს. ჩვენში კიდევ შეიძლება კავშირი ბურჟუაზიულ და სოციალურ დემოკრატიათა შორის სახელმწიფოებრივ შემოქმედებით მუშაობაში (რაც არსებობს კიდეც) და ეროვნული სუვერენიტეტიც მათ უნდა ეკუთვნოდეთ, მაგრამ კავშირი ფეოდალურ და ნახევრად ბურჟუაზიულ ჯგუფებთან ყოვლად შეუძლებელია. ეს უნდა კარგად იცოდნენ ეგრედ წოდებულმა „ეროვნულმა დემოკრატებმა“.

ირ. წერეთელმა ერთ თავის საპარლამენტო სიტყვაში მეტად ყურადსაღები აზრი წარმოსთქვა: „საქართველო იქნება სუვერენული სახელმწიფო, მხოლოდ როგორც დემოკრატიული, ან და სულ არ იქნება სუვერენული სახელმწიფო“-ო ეს სწორი შეხედულება აშკარა გახდება მაშინ, როცა გავიხსენებთ პროფ. რეისნერის სიტყვებს, რომ „დემოკრატია—ეს მთელი ხალხის ხელმწიფობაა, არც მეტი, არც ნაკლები“.***) რაც შეეხება ნაციონალისტების ყვედრებას „ერის უზენაესობაზე, სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაზე“ და სხვ., რასაც სარჩულად გარდამავალი წოდების მომაკვდავი ინტერესი უდევს, ამ სიტყვებში ყველაფერია, გარდა ჭეშმარიტი ეროვნული სუვერენიტეტისა.

არ—მ.

*) იხ. Я. Магазинеръ „Самодержавіе Народа“.

**) ibid., გვ. 86.

***) Проф. М. А. Рейснеръ «Государство» т. II.

## დეპეშები

(ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტო).

22 ივლისი.

**მოსკოვი.** რუსთა ყოფილი მეფე ნიკოლოზ მეორე დახვრეტილ იქნა ურალის ეკატერინბურგში 16 ივლისს. რუსეთის საბჭოთა მთავრობამ ყოფილი დედოფლების ალექსანდრას და მარიამის და აგრეთვე მეფის ოჯახის ყველა წევრთა ყოველგვარი ქონება, ბანკებში შენახული ფული როგორც რუსეთში, აგრეთვე საზღვარ გარეთ გამოაცხადა რუსეთის რესპუბლიკის საკუთრებათ.

**სტოკჰოლმი.** მიღებულია ოფიციალური ცნობა, რომ რუსთა ყოფილი მეფე ნიკოლოზ მეორე დახვრიტეს ეკატერინბურგში, რომ მას არ შეერთებოდენ ჩეხო-სლოვაკები. ვინ არის ყოფილი მეფის მკვლელი ან რომელ პარტიას ეკუთვნის ის, ამის შესახებ ცნობები არ არის. არც ნამეფარის ოჯახობის შესახებ არის ცნობები, თუ რა ბედი ეწია მათ.

**გერმანიის** რადიო-სადგურის ცნობით ყოფილი მეფე ნიკოლოზი დახვრეტილ იქნა ადგილობრივი საბჭოს მთავრობის განაჩენის თანახმად, რომ ჩეხო-სლოვაკებს არ ჩავარდნოდა ის ხელში ცოცხალი.

23 ივლისი.

**ბერლინი.** მდ. ენსა და მარნას შორის ბრძოლა გრძელდება. მიუხედავათ იმისა, რომ მტერი აქ 20 ივლისს დამარცხდა, ახალი იერიშებით მოდის ახალი დივიზიები. მტრის იერიშები უნაყოფო იყო. ტყვედ წამოყვანილნი ადასტურებენ, რომ მათ დიდი ზარალი მოუვიდათ. გუშინდელი ბრძოლაც გერმანელების სასარგებლოთ დამთავრდა. ამ რაიონში სხვადასხვა ალაგას მოტანილი იერიშები მოვიგერიეთ. მარნის ფრონტზე საარტილერიო სროლაა. მარნასა და ადრომს შორის ინგლისელები და ფრანგები განაგრძობენ შეტევას, მაგრამ ყველა მათი იერიშები მოვიგერიეთ.

**სტამბოლი.** პალესტინის ფრონტი. ფრონტის ზოგიერთ ნაწილებში საარტილერიო სროლამ სასტიკი ხასიათი მიიღო. ჩვენმა ჯარმა დაიკავა რკინის გზის დაწესებულებები ლიდი და იასსი და აგრეთვე იორდანეს ხიდთან გადასასვლელი ადგილი. იორდანეს აღმოსავლეთ ნაპირზე მოვიგერიეთ მტრის მზვერავი რაზმის იერიში,

**ვენა.** იტალიის ფრონტზე არავითარი ცვლილება არ მომხდარა. ბერატის სამხრეთით და დევოლის ზევით სამი დღის წინად მტერმა იერიში მოიტანა. მტერმა ვერც ერთ ალაგას ვერ შესძლო წინ წამოწევა. ბრძოლა გრძელდება. ინნის და ნუერეს შორის მზვერავთა რაზმები შეიჭრენ მტრის ზოგიერთ პოზიციებში.

**ბერლინი.** მდ. ენსა და მარნას შორის მდებარე პოზიციებზე სიწყნარეა. ადგილობრივი ხასიათის ბრძოლაა მდ. ურკის სამხრეთით.

**პარიჟი.** გერმანელები ცდილობდენ ძლიერი კონტრ იერიშებით შეესუსტებიათ მარნასა და ურკს შორის მოკავშირეთა მოპოვებული გამარჯვება. საფრანგეთ ამერიკის ჯარები წინ აღუდგენ მტერს და განაგრძეს წინსვლა. ჩვენი ჯარი გადავიდა ლახშუასა და გრიზოლის აღმოსავლეთით, დაიკავა სოფ. ეპიტი. მარნასა და რეიმს შორის სასტიკი ბრძოლა იყო, რამაც გერმანელებს არავითარი უპირატესობა არ მისცა. ფრანგებმა შეინარჩუნეს თავიანთი პოზიციები კურტენესა და რუას ტყეში. აქ ჩრდილოეთით ინგლისელებმა ტყვეთ წამოიყვანეს 200 გერმანელი და ხელთ იგდეს 40 ტყვიისმფრქვეველი. შამპანის ფრონტზე საარტილერიო მოქმედებაა.

**ვაშინგტონი** (რეიტერის სააგენტო). გემთა მიმოსვლის სამმართველო იტყობინება, რომ გემი „კარპატია“ 13.603 ტონი წყალწყვისა 17 ივლისს დაიღუპა ატლანტიის ოკეანეში. „კარპატია“ გავიდა ზღვაში, არ ჰყოლია არც მგზავრები, არც ტვირთი. კამანდიდან 5 კაცი მანქანების განყოფილებაში მომხდარ აფეთქებისაგან დაიხოცა, დანარჩენი—50 კაცი ნავებით ნაპირათ გამოვიდენ.

**პარიჟი.** აბრამიმ პარლამენტში კანონ-პროექტი შეიტანა 1920 წელში ჯარში გასაწვევ ახალგაზრდების შემოწმების შესახებ.

**კიევი.** პეტროგრადში ხოლერის გაჩენის გამო უკრაინის მთავრობამ დახურა რუსეთ უკრაინის საზღვრები.

**ლონდონი.** „ლლოიდმა“ ცნობა მიიღო ნიუ-იორკიდან, რომ გემი ა.ტერი კი სხვა გემს დაეჯახა და ჩაიძირაო.

## უკანასკნელი ცნობები

ს ა ჩ ხ ე რ ე.

ჩვენი ჯარი ჰალიდან წინ მიიწევს. დღეს დავიკავეთ სოფ. დურევი. სოფელში შისლისას 20 ივლისს მოგვიკლეს არტილერისტები ამხანაგი იოსებ შოთაძე, ბიძინა სანებლიძე და შალვა ვარდანაშვილი. დაჭრილია კაპიტანი სისორდია, მაჭავარიანი, წერეთელი. კვირას შესდგა მრავალ რიცხოვანი მიტინგი, რომელსაც დაესწრენ სამი სოფლის მცხოვრებნი. გამოტანილ იქნა განაჩენი, რომლითაც ნდობას უცხადებენ მთავრობას. ყოველგვარ მოთხოვნებს ასრულებენ. იძლევიან იარაღს.

ბ ა ღ დ ა დ ი.

18 ივლისს დილით ბაღდადს თავს დაესხა შეიარაღებული ბრბო, რომელსაც ხელმძღვანელობდენ უხუთელი ყოფილი ჯარისკაცები. ბრბოს წინააღმდეგობა გაუწია ოფიცერ გეგეჭკორმა, რომელიც დაჭრილ იქნა. ბრბომ გასტეხა კომისარიატი, ადგილობრივი ჯარის საწყობი და გაიტაცა იარაღი; ტყვიისმფრქვეველთა რაზმი პოლკოვნიკ სრესელის მეთაურობით წინდაწინ გადავიდა დიმში და იქ რკინის ხიდთან გამაგრდა. ბრბო წავიდა დიმისკენ. აქ ბრბოსთან შეტაკება მოხდა. ბრბოს მოუკლეს რამდენიმე კაცი, ამიტომ ბრბომ უკან ბაღდადისაკენ დაიხია. ხალხი ბრბოს არ მიმხრობია. 19 ივლისს ბაღდადში აღდგენილ იქნა წესრიგი. რამდენიმე მეთაური დაჭერილია. იარაღის ჩამორთმევა გრძელდება. ხალხის თანაგრძნობა მთავრობის მხარეზეა. გენ. სუმბათაშვილი ქუთაისიდან ატყობინებს სამხედრო მინისტრს: ბაღდადში აღდგენილია სრული წესიერება. ზოგიერთი მეთაურები შეპყრობილია. იარაღს ვყრით მცხოვრებთ. პოლკოვ. ინწკირველი დავნიშნე სამხედრო ოსეთის გზის რაზმის უფროსად, რომელმაც გურიიდან ჩამოიყვანა 200 ჯარისკაცათ ნამყოფნი. ძალები გვემატება.

ს ო ხ უ მ ი.

ქართველი ჯარის შტაბის უფროსს სოხუმიდან შემდეგს ატყობინებენ: „500 კაცით ჩვენზე მომეტებულმა ბალშევიკების რაზმმა 22 ივლისს შემოგვიტია. ორი საათის მწვავე ბრძოლის შემდეგ მოწინააღმდეგე სასტიკათ დავამარცხეთ და გაიქცა. წამოვიყვანეთ ტყვეები.

ბაქოს ფრონტი.

ქიურდამირიდან მიღებული ცნობებით ოსმალთა რაზმები სამი მხრით მიუახლოვდენ ბაქოს და შეჩერდენ. ბაქოს ჯარების უმთავრესი ძალები ქალაქში იმყოფებიან და იმუქრებიან უკიდურეს შემთხვევაში ქალაქის და სამრეწველო ცენტრების აფეთქებით. ტაგიევი და სხვა მილიონერები ისევ დაპატიმრებული არიან. ბაქოდან მიღებული ცნობებით ბალშევიკები თანახმა არიან შეკრულ იქნას ზავი, რომლის ძალით აღდგენილი იქნება რკინის გზით მიმოსვლა ბაქოსა და ფოთს შუა იმ პირობით, თუ ბაქოს საგრადონაჩალნიკო და სამრეწველო ცენტრები დარჩება საბჭოს მთავრობის ხელში, აგრეთვე მოითხოვენ ოსმალთა ჯარების გაყვანას.

განჯიდან მიღებული ცნობებით იქ ადერბეიჯანის მთავრობის კრიზისია.

ს. სალხინო (სამეგრელო).

სალხინოდან ჩამოსულებმა გადმოგვცეს, რომ ერთი კვირის წინეთ სოფ. სალხინოში დუქნებს დაეცა ყაჩაღთა ბრბო და 1500 მანეთი აკრიფა.

## „თვითგამორკვევა“ ბათუმის ოლქში

ბ ა თ უ მ ი.

14 ივლისს ბათუმში კენჭის ყრაში მონაწილეობა უნდა მიეღო 4312 კაცს. დაესწრო 2829 კაცი, და დასწრებია 1483 კაცი.

ოსმალეთთან შეერთების სასარგებლოთ ხმა მისცა 2669 კაცმა წინააღმდეგ—160.

ეროვნების მხრით ხმები ასე განაწილებული:

1) პოლონელებმა, მუსულმანებმა, უკრაინელებმა, სპარსელებმა, თურქებმა, დასავლეთ-ევროპის და კავკასიის ერებმა ოსმალეთის სასარგებლოთ მისცეს 728 ხმა, წინააღმდეგ—95, არ გამოცხადებულა 357.

2) ქართველებმა, სომხებმა და ებრაელებმა ოსმალეთის სასარგებლოთ მისცეს 644 ხმა, წინააღმდეგ—30, არ გამოცხადებულა 430 კაცი.

3) რუსებმა მისცეს ოსმალეთის სასარგებლოთ 467 ხმა, წინააღმდეგ 77, არ გამოცხადებულა 648 კაცი.

4) ბერძნებმა ოსმალეთის სასარგებლოთ მისცეს 830 ხმა, წინააღმდეგ 8, არ გამოცხადებულა 48 კაცი.

აქვე მოგვყავს სიტყვა-სიტყვით არჩევნების მომწყობი კომისიის ოქმი:

ოქმი. „ბათუმში არჩევნებში მომწყობ კომისიის სხდომისა, რომელიც მოხდა ამა წლის ივლისის 11-ს (ახ. სტ.), დილის 10 საათზე ქალაქის გამგეობის შენობაში.

სხდომას ესწრებიან—თავმჯდომარე კომისიისა ე. ა. პორაიკოშიცი და წევრები—მაჰმუდ-ბეი ეფენდიევი, ქ. ა. კრასნიცკი, ვოლფენზონი, იოსებ ნაკაშიძე, რელიგიონი, სულეიმან-ბეი, სადჯაკ-ბეიზადე, ი. ი. კალფოლლი, გრ. გიგინეიშვილი, გიუბნერი და მ. ლ. დინიათოღლი.

თავმჯდომარე კრების გახსნისას, დაწვრილებით მოახსენებს დამსწრეთ იმ ცვლილებათა შესახებ, რომელიც შეტანილ იქნა გუბერნატორის მიერ მცხოვრებთადმი მიმართულ ტექსტში, რომელი ტექსტიც კომისიის მიერ იქნა გამომუშავებული 9 ივლისის სხდომაზე. თავმჯდომარე დიდ ყურადღებას აქცევს იმ მეტად დიდმნიშვნელოვან მოვლენას არჩევნებისათვის, რომელიც მოხდენილია გუბერნატორის მიერ: სხვა მცირე ცვლილებებს რომ თავი დავანებოთ, ერთი დიდი ცვლილებაა შეტანილი, რომელიც ძირიანათ ეწინააღმდეგება კომისიის აზრს ამ კარდინალურ და ძირითად კითხვაზე: ფარული კენჭის ყრა შეცვლილია ახდილი ხმის მიცემით.

**ვოლფენზონი** კომისიის საყურადღებოთ აქვეყნებს ოტომანის მთავრობიდან მიღებულ ტექსტს არჩევნების შესახებ, სადაც ლაპარაკია არჩევნებში სინდისის სრულ თავისუფლებაზე, რაც ეწინააღმდეგება გუბერნატორის კატეგორიულ მოთხოვნას, რომ არჩევნები ღია კენჭის ყრით მოხდეს.

თავმჯდომარე აცხადებს, რომ ის კომისიის 9 ივლისის დადგენილების თანახმად, ეხლა, როცა იგი შეცვლილია, მცხოვრებთადმი მიმართულ ამ ტექსტს ხელს არ მოაწერს.

**გრ. გიგინეიშვილი** მხარს უჭერს და სცნობს რა მხოლოდ ფარულ კენჭის ყრას, აღნიშნავს კიდევ იმ დეფექტებს, რომლებიც მოიპოვება ამ არჩევნებში. ის ამბობს, რომ თუ ბრესტის ხელშეკრულებას ვცნობთ, ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ თვითგამორკვევა უნდა მოხდეს საზოგადოებრივი ცხოვრების მშვიდობიან და ნორმალურ მსვლელობის დროს, რაც ეხლა არ არსებობს, როდესაც დიდი უმრავლესობა ძირითად მცხოვრებლებისა აქ არ იმყოფება—მაგალითად, აქ არ არის სრულიად ადგილობრივად მცხოვრები სომხობა.—ამას გარდა, ქართველობა წარმოდგენილია მხოლოდ უმნიშვნელო პროცენტებში წინანდელ რიცხვთან შედარებით. ეს გამოწვეულია იმით, რომ ისინი ნებართვის მიღების სიძნელის გამო აქამდე მოკლებული არიან საშუალებას დაბრუნდენ ბათუმში, სადაც მათ აქვთ სახლები, სავაჭრო დაწესებულებანი და სხვა ქონება. თუ ჩვენ ეს დეფექტები აქამდე არ აღვნიშნავს, ეს უმთავრესად იმიტომ, რომ არ გვწადდა გაგვემწვავებინა ურთიერთობა ოტომანის მთავრობასთან, რომლის მიმართ ჩვენ მეტად ლოიალური და კორექტიული განწყობილება გვაქვს. ვურიგდებით რა იმ ფაქტს, რომ დაპყრობილი ბათუმი გადასულია ოსმალეთის ხელში, ჩვენ ვრჩებით აგრეთვე ჩვენი სამშობლოს ნამდვილ შვილებათ, მაგრამ მცხოვრებთა თვითგამორკვევის დროს ჩვენ ვიცავთ ფარულ კენჭის ყრას და ვმოქმედობთ ისე, როგორც ამას ჩვენი სინიდისი და ჩვენი საზოგადოებაც მოითხოვს, რომელიც როგორც ჩვენ ვიცით, არჩევნებში მონაწილეობის მიღებაზე სრულიად უარს იტყვის, თუ არ იქნა დაცული ეს სამართლიანი პირობა, ეს დროზე უნდა ეცნობოს ბ-ნს გუბერნატორს, რომ მან ამაში მტრული განწყობილება არ დაინახოს პროტესტის ხასიათისა.

**რელიგიონი** ჰფიქრობს, რომ კომისიას არავითარი კავშირი არა აქვს ამ საკითხთან (ფარულ თუ ახდილ კენჭის ყრასთან) და მოითხოვს დაკმაყოფილებას არჩევნების ტეხნიკური მხრით.

თავმჯდომარე კიდევ გამოსთქვამს თავის შეხედულებას ამ საგანზე და საჭიროთ სთვლის მიღებულ იქნას ფარული კენჭის ყრა და სხვა არჩევნების წესები (მიღებულნი კომისიის მიერ), როგორც საფუძველი არჩევნებისა ან და მცხოვრებთადმი ყოველგვარ მიმართვისაგან თავის შეკავებას და ყოველგვარ პასუხისმგებლობის უარყოფას, როგორც არჩევნების წარმოების დროს, ისე მის შედეგებზე.

**ვოლფენზონი** წინადადებას იძლევა ამ შემთხვევაში კომისია დაკმაყოფილდეს იმ ჩვენებებით და წესით, რომელიც ბოძებულ იქნება გუბერნატორის მიერ არჩევნების მოხდენის დროს.

**დ—რი ეფენდიევი** იმ აზრისაა, რომ ბათუმი არ შეადგენს არავითარ გამონაკლისს, რომ მის მცხოვრებთ მივცეთ ფარული კენჭის ყრის უფლება, როცა სხვაგან ყველგან მოხდა ღიად ხმის მიცემა. ჩვენ კომისიას,—ამბობს ის,—არა აქვს ისეთი დიდი უფლებანი, როგორც ეს ზოგიერთებს ჰგონია, ის არის მხოლოდ გუბერნატორთან არსებული სათათბირო ორგანო. საქმე ახდილი კენჭის ყრის დროს უფრო მარტივია და არავითარ ძალდატანებას ადგილი არ აქვს. ფარული კენჭის ყრა კი აშკარად ეწინააღმდეგება გუბერნატორის მოთხოვნილებასო.

**ი. ი. კალფოლლი** კომისიის მოვალეობათ სთვლის, რომ მან აცნობოს გუბერნატორს ქალაქის მცხოვრებთა შეხედულობა ამ საგანზე, რომელიც, როგორც მან იცის, გადაჭრით ეწინააღმდეგება ახდილად მოხდენილ არჩევნებს და იქნებ არჩევნებში, თავის უმრავლესობაში, სულ არ მიიღოს მონაწილეობა.

ამის შემდეგ თავმჯდომარის წინადადებით თითქმის ერთხმად დაადგინეს შეიკავონ თავი მც[illegible]სიის სახელით [illegible] მოწოდებიდან, [illegible]ტორს მისგან მიღებული წესები არჩევნების შესახებ, მიენდოს თავმჯდომარეს და ი. ი. კალფოლლის მოახსენონ გუბერნატორს კომისიის აზრი, დამყარებული მცხოვრებლების სურვილზე შესახებ ფარული ხმის მიცემის მოხდენისა“.

### ქობულეთში

(ქობულეთელის ნაამბარი)

ამ დღეებში გურიაში გადმოვიდა ქობულეთის მცხოვრები ქართველი მაჰმადიანი, ქობულეთის ყოფილი სოც.-დემ. კოლექტივის წევრი ხ. თ—ლი, რომელმაც შემდეგი გადმოგვცა: „ქობულეთში ოსმალებმა ხუთშაბათს, 11 ივლისს, მოახდინეს ხმის მიცემა. ყუთი დასდგეს შიგ ქობულეთში და იქ მიიწვიეს მთელი რაიონის მცხოვრებნი, მაგრამ ხმის მისაცემად ცოტა გამოცხადდა. წინასწარ მოვიდენ ბათუმიდან მთავრობა და ალიები და ადგილობრივ ალიებთან გამართეს ბჭობა; გამოიყვანეს დიდძალი ჯარი და აჭიდავეს ფალავანდები, უკრავდა დაფა-ზურნა და მუსიკა. შემდეგ მოუყარეს ხალხს თავი, ირგვლივ ყუთთან შემოამწკრივეს ტყვიისმფრქვეველები და ზარბაზნები და გამოუცხადეს ხალხს: 40 წელიწადი დავსტიროდით თქვენს ბედს, რადგან თქვენ ქრისტიანების ხელში იყავით ჩავარდნილი; ეხლა დაგვიდგა დრო, რომ შეგეკითხოთ—ქრისტიანობა გინდათ, თუ მაჰმადიანობა, ქრისტიანობას ნიშნავს შავი (ლურჯი მოშავო) ქაღალდი და მაჰმადიანობას—თეთრიო. დაიწყეს ხმის მიცემა, ყუთზე დაბრძანდა ბათუმის ვალი (გუბერნატორი). ალიები ხალხს ეუბნებოდენ: ღმერთი არ გაგიწყრეთ, შავი ქაღალდი არ ჩააგდოთ ყუთშიო. მე და რამდენიმე პირი შევეცადეთ აგვეხსნა ხალხისათვის სინამდვილე, მაგრამ შემამჩნიეს და მიმიყვანეს ყუთთან. ვალიმ მკითხა: შენ სულთანი და მაჰმადიანობა არ გინდაო? მე ვუპასუხე: მაჰმადიანობის უარყოფას არ ნიშნავს, რომ სულთანის მონობა არ მინდოდეს, მე „ხურიეთი“ (თავისუფლება) და ჩემს ძმებ ქართველებთან დარჩენა მინდა-თქვა და ყუთში შავი ქაღალდი ჩავაგდო. ვალი განრისხდა, ბალშევიკობა სდომებია, სულთანისა და მაჰმადის სჯულის წინააღმდეგ მიდისო დაიყვირა და იქვე დამიჭირეს, რამდენიმე ხანს იქვე ხალხის დასანახავათ მამყოფეს, მერე ხალხისავე თანადასწრებით გამიყვანეს ზღვის პირად და ხელებ გაშლილი ამაკრეს ჯვარსავით მომზადებულ ხეზე, გამოიყვანეს ჯარიდან 6 ასკერი და მხვრეტდნენ, მაგრამ ამ დროს მოვიდა ავტომობილით ვინმე ნემეცი და გამანთავისუფლეს. ღამით კი ისევ დაჭერა და მოკვლა მომინდომეს, მაგრამ ადრე გავიგე და დავიმალე, ეხლა უპატრონოთ მივატოვე ცოლ-შვილი და გამოვედი. ქართველებმაც სულთანს მისცა ხმა, რადგან არ შეეძლო სხვაგრივ მოქცევა, ყველას დასწყვეტდენ. ხმის მიცემაში ასკერებიც იღებდენ მონაწილეობას, 12—13 წლის ბავშვებსაც მისცეს ნება, ქალები კი ყუთთან არ დაუშვეს. ქალებისთვის რომ ხმა მიეცათ, ყველანი ჩვენ (ქართველებს) მოგვცემდენ ხმას, რადგან ძლიერ შეწუხებულნი არიან ოსმალთა ჯარებისაგან. საერთოდ საშინელ მდგომარეობაში არის მთელი ქობულეთის რაიონის მცხოვრებნი, საჭმელ-სასმელი და სხვა ოჯახის ავეჯი მთლათ წაართვეს ხალხს. თუმცა ამ დღეებში ოსმალებმა ლიდვას მიდამოებიდან ერთი „ფირკე“ ჯარი (12,000) სადღაც, ვგონებ, კონსტანტინეპოლისკენ გაისტუმრეს, მაგრამ საკმაო მაინც დარჩა, რომელიც სად. ქობულეთის ახლოს მიდამოებში სდგას და მცხოვრებლებს ავიწროვებს. უკმაყოფილება დიდია ხალხში, მაგრამ შიშით ვერ გამოუთქვამთ.

თუ თვით არ განიცადა კაცმა, ისე წარმოუდგენელია იმ საშინელების აწერა, რაც მე მომაყენეს იმ დღეს შავი ქაღალდის ყუთში ჩაგდებისათვისო“—დაათავა თავისი სიტყვა ამხანაგმა.

ხუსეინ.

## დეპეშა

**ოზურგეთი.** შიმშილობის ნიადაგზე ლიხაურის საზოგადოებაში მდგომარეობა კრიტიკულია, მოსალოდნელია ექსცესები, საჭიროა სასწრაფო ზომები სურსათის მისაწოდებლად.

ლიხაურის სოც. დემ. კოლექტივი.

**ჩოხატაური.** ავსტრიაში და გერმანიაში მყოფი სამხედრო ტყვეების მშობლები გთხოვთ გვაცნობოთ პრესის საშვალებით გზაში მყოფი მათი შვილების ბედი.

მონდობილ. სარდიონ ელიაშვილი.

რედაქციისაგან: როგორც გადმოგვცეს, მიღებულია ყოველგვარი ზომები აღნიშნული ტყვეების სამშობლოში გადმოსაყვანად. ამ ჟამად საქმეს აბრკოლებს უგზობა. ვრცელ ცნობებს ამ დღეებში მივაწვდით მკითხველებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ახალი ამბები

ერობის არჩევნები დიღომის რაიონში სოც.-დემოკრატიულმა სიამ მიიღო 1103 ხმა, უპარტიოთა სიამ—5 ხმა. ამ რაიონში სოც.-დემოკრატების ბლოკი არ ჰქონიათ სოც.-ფედერალისტებთან როგორც ეს გუშინდელ ჩვენს გაზეთში შეცდომით იყო დაბეჭდილი. ხატის თელეთში სოც. დემოკრატიულმა სიამ მიიღო 415 ხმა, უპარტიოთა სიამ—5 ხმა.

◆ **დააპატიმრეს** თფილისის სამხედრო გიმნაზიის დირექტორი დურნოვო და კავკასიის სამხედრო საოლქო სასამართლოს თავჯდომარე გენ. იგნატიევი.

◆ **თფ. მუშ. და ჯარ. დეპუტატების** საბ. სხდომა, რომელიც შეცდომით დანიშნული იყო 23 ივლისს საღამოს 7 საათზე სახალხო სახლში, დანიშნულია 24 ივლისს საღამოს 7 საათზე სახალხო სახლში. დღის წესრიგი: პოლიტიკური მომენტი (საგარეო და შინაური მდგომარეობა) მომხსენებელი ირ. გ. წერეთელი.

◆ **ქალაქის საბჭომ** მოიწონა ქალაქის გამგეობის პროექტი მცხოვრებთა განსაკუთრებულათ დაბეგვრის შესახებ ხოლერასთან საბრძოლველათ საჭირო ხარჯებისათვის და მიანდო გამგეობას სპეციალურათ ამორჩეულ კომისიასთან ერთად დაწვრილებით გაარჩიოს ეს საკითხი. პროექტის ძალით მცხოვრებლებმა ერთდროულათ უნდა გადაიხადონ შემოსავლის 2 პროცენტი სანიტარული ფონდის შესაქმნელათ.

◆ **მთავრობაში** მთავრობამ დაადგინა ბათუმისა და ყარსის ოლქის სახელმწიფო დაწესებულებები გააუქმოს.

— განათლების მინისტრის მოხსენებით მომავალი სამოსწავლო წლიდან ხონის, გორის და სოხუმის სამასწავლებლო სემინარიებში შემოღებულ იქნება ნაციონალიზაცია.

— საზღვარ-გარეთ დაფნის ფოთოლის გატანაზე გადასახადის შემოღების შესახებ მიწათ-მოქმედების მინისტრს წინადადება მიეცა თავისი შეხედულება წარადგინოს.

◆ **გაძარცვა** 20 ივლისს ღამის 11 საათზე ლორის მელიქოვის ქუჩაზე რამოდენიმე შეიარაღებულმა ბოროტმოქმედებმა გაძარცვეს აზიგ გამბატ-ოღლი. წაიღეს 16555 მან. და 2 რევოლვერი.

◆ **ოსების კრება.** კვირას, 29 ივლისს, დილის 9 საათზე დანიშნულია მუშტაიდის დემოკრატიულ კლუბში საერთო კრება თფილისში მცხოვრებ ოსებისა ჯავის ეროვნულ ყრილობაზე დელეგატების ასარჩევათ.

◆ **თფილისის სახალხო უნივერსიტეტის** პირველ განყოფილებაში ნაძალადევის თეატრში ლექციებს წაიკითხავენ შემდეგ თემაზე: 24—პოლიტიკური ეკონომია რუსულათ მახვილაძე, 25—სოციალიზმის ისტორია მ. არსენიძე, 26—ხოლერაზე ექიმი ტურიაშვილი.

◆ **რკინის გზათა ქართველ მოსამსახურეების კრება.** კვირას, 28 ივლისს, ქართულ კლუბის შენობაში, დილის 12 საათზე (ახალი დროთი) შესდგება თფილისის რაიონის ლიანდაგის და კახეთის რკინის გზის ქართველ მოსამსახურეების საერთო კრება. განსახილველი საგნებია: 1) მოხსენება კავშირის მოქმედების შესახებ, 2) მოხსენება რკინის გზათა უწყების ნაციონალიზაციისა და შტატების შემცირების შესახებ, 3) საქართველოს რესპუბლიკის რკინის გზათა მოსამსახურეების, მუშებისა და ხელოსნების ყრილობის მოწვევა, 4) მიმდინარე საკითხები და 5) საბჭოს წევრების არჩევნები.

◆ **ნატალია პავლეს ასული ლელაშვილისა.** 22 ივლისს გარდაიცვალა ნაძალადევის მოწინავე მუშათა წრეში კარგათ ცნობილი, სოც.-დემ. მუშათა პარტიის მოამაგე ნატალია პავლეს ასული ლელაშვილისა. დაკრძალვა მოხდება 24 ივლისს კუკიის წმინდა ნინოს სასაფლაოზე. ცხედარს გამოასვენებენ ნაშუადღევის 3 საათზე ყუბანის ქ., № 5.

◆ **დაჭრა.** 21 ივლისს ვორონცოვის ძეგლთან მილიციონერმა შეგროვილ ხალხს სთხოვა დაშლილიყო. ჯგუფიდან გამოვიდა ვინმე ხუციშვილი, დაეტაკა მილიციონერს, რომ იარაღი წაერთმია. შეტაკების დროს მილიციონერმა გაისროლა ორჯერ და ხუციშვილი მძიმეთ დასჭრა.

◆ **გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“-ს** რედაქცია თხოვს ყველას, მთავრობის, ადმინისტრატიული და საზოგადოებრივი დაწესებულებებიდან ცნობები მიაწოდონ შემდეგი მისამართით: თფილისი, ბარონის ქუჩა № 6.

◆ **შინაგან საქმეთა სამინისტროსთან** სპეკულაციასთან საბრძოლველად დაარსებულია საგანგებო რაზმი. 1) დასახელებული რაზმი იმყოფება შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებაში და მოქმედობს მისი პირადი ხელმძღვანელობით. 2) რაზმის მოქმედება ვრცელდება საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში. 3) რაზმის უფროს და მის თანამშრომლებს ენიჭება უფლება საჭიროების დროს დააპატიმრონ კერძო პირები და მოახდინონ აგრეთვე ჩხრეკა და საქმის ქაღალდების წაღება, 4) მოვალეობის ასრულების დროს რაზმის უფროსს უფლება აქვს საჭირო დახმარებისათვის მიმართოს როგორც საერთო, ისე რკინის გზის მილიციას და სახალხო გვარდიას და სამხედრო ძალებს; 5) რაზმის მოხელეთა მიერ მოხდენილი გამოძიებანი რაზმის გამგებლობაში მყოფ საქმეებისა შეიძლება გადაეცეს შემდეგი გამოძიებისათვის საგამომძიებლო მთავრობას; 6) რაზმს აქვს განსაკუთრებული ბეჭედი.

**კრებები და მიტინგები.**

— დღეს 24 მკათათვეს საღამოს ხუთ საათზე შესდგება მესამე რაიონის პარტიის წევრთა კრება, რადგანაც საჭირო კითხვებია გასარჩევი, ამხანაგებს თხოვენ აუცილებლად დაესწრონ. ბინა: ავლაბრის კლუბი, კახეთის ქუჩა № 1.

## საქართველოს ეროვნული საბჭო

**23 ივლისის სხდომა.**

თავმჯდომარეობს კარლო ჩხეიძე.

საბჭომ სარედაქციო კომისიის თავმჯდომარის მოხსენების შემდეგ საბოლოოდ მიიღო კანონ-პროექტი სომხებთან შეთანხმებით 200 მილიონი მან. ბონების გამოცემის შესახებ.

საბჭომ მიიღო აგრეთვე კანონ-პროექტი იმის შესახებ, რომ გზათა-მიმოსვლის სამინისტროს ავანსად მიეცეს ერთი მილიონი მანეთი შავი ზღვის რკინის გზის (საამშენებლო) სამმართველოს სალიკვიდაციოთ.

იურიდიული კომისიის წევრის მოხსენების შემდეგ მიღებულ იქნა კანონ-პროექტი, რომლის ძალით საქართველოს რესპუბლიკის ოფიციალურ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაბეჭდილ უნდა იქნას ყველა ის განკარგულებები და კანონები, რომლებიც მოთავსებულია რუსეთის სხვა და სხვა მთავრობის (ოფიციალურ) ორგანოებში და რომლებიც ეხებიან მხოლოდ საქართველოს.

საბჭოს მდივანი კითხულობს გ. ვეშაპელის შეკითხვას საჩხერის ამბების შესახებ.

ვეშაპელი ეხება საჩხერის რაიონში მომხდარ აჯანყებას და აღნიშნავს იმ ზარალს, რომელიც ამ აჯანყებამ მიაყენა საჩხერეს და მის მახლობელ სოფლებს. ორატორი მიუთითებს საბჭოს აგრეთვე იმ საფრთხეზე, რომელიც მოელის ჩვენს დიდ სამრეწველო ცენტრს—ჭიათურას, თუ ისევ განმეორდა ასეთი გამოსვლები. შემკითხველი ვრცლად ეხება საერთოდ ასეთი გამოსვლების მიზეზებს და ამბობს, რომ საჩხერის აჯანყებაში ბრალი ედება ოსებს. ორატორი ამტკიცებს, რომ აჯანყება მოაწყვეს არა ადგილობრივმა ოსებმა, არამედ ჩამოსულმა (სამხრეთ ოსეთიდან) ოსთა ელემენტებმა. ორატორი მოითხოვს, რომ ერთხელ და სამუდამოდ გამორკვეულ იქნას ოსეთის და საქართველოს ურთიერთ შორის დამოკიდებულება. საჭიროა მთავრობამ შესაფერი დახმარება აღმოუჩინოს საჩხერის რაიონიდან გამოქცეულებს და მიიღოს ზომები იმ აუარებელი ქონების უკან დასაბრუნებლად, რომელიც გაზიდულ იქნა საჩხერიდან ჭალის ხეობაში.

ნ. ჟორდანია მთავრობის სახელით ამბობს, რომ ეს შეკითხვა ჩვენ გავიგეთ დღეს. შეკითხვა სერიოზული ხასიათისაა. ამის შესახებ სამინისტროებში მრავალი მასალები მოიპოვება, აჰიტომ მდგომარეობა მოითხოვს ამ შეკითხვის გარჩევა გადადებულ იქნას შემდეგი სხდომისათვის. სასურველია ასეთი სერიოზული შეკითხვები 24 საათით ადრე აცნობოს შეკითხვის ავტორებმა მთავრობას, რომ მას საშუალება მიეცეს დასაბუთებული პასუხი მისცეს შემკითხველთ. საბჭომ ერთხმად მიიღო ნ. ჟორდანიას წინადადება.

სხდომა დახურულ კარებში გაგრძელდა.

აკ. ხ—უა.

## პროვოკაციის ქსელი

**მსოფლიო პროლეტარიატის სახელით.**

საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში მოწყობილი აჯანყებები რომ მიმართულია რევოლიუციონური მთავრობის, დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ, ამაში ახლა ყველა დარწმუნებულია. ხალხის მტრები ჩვენს ხალხს მოევლინენ სოციალიზმის სამოსელში, მსოფლიო პროლეტარიატის სახელით. „ამბოხებულ გლეხთა შტაბი საჩხერის რაიონისა“, მაგ., ასეთი მოწოდებით მიმართავს ჩვენი სახალხო გვარდიის შტაბს. მოწოდება დაწერილია რუსულად, რომლის ქართული თარგმანი შემდეგს შეიცავს:

„რევოლიუციონური გლეხობა გამოვიდა იმ უფლების დასაცავად, რომელიც თქვენ გათელეთ. მას არ უნდა იარაღი აიყაროს, თქვენ ძალით ართმევთ საქონელს, ცხენებს და სხვა ნივთებს. სწვავთ მშვიდობიან სოფლებს, მაშინ, როცა ამ სოფლებიდან სამხედრო მოქმედება არ არის, როგორც პატიოსანი მშრომელი ხალხი, რევოლიუციონურ გლეხობას არ სურს ღვაროს მეტი სისხლი. დეე, საჩხერეში მყოფ გვარდიის შტაბმა იცოდეს, რომ ყველა მის მოქმედებაზე იგი პასუხს აგებს მთელი მსოფლიოს რევოლიუციონური სინდისის წინაშე. ყველგან, საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მშრომელი გლეხობის ამბოხებები ვითარდება. ეს გამოსვლები ხდება თქვენი მოქმედებით. თქვენ ფიქრობთ, რომ მთავრობა, რომელსაც თქვენ იცავთ, ხალხის არჩეულია. მაგრამ თქვენ კარგათ იცით, რომ თითქმის მთელი მშრომელი ხალხი ამ არეულობის წინააღმდეგ იბრძვის. მაშ, რაღას დავიდარობთ თქვენ. ხალხი ხომ არაა მთავრობისათვის, არამედ მთავრობაა ხალხისათვის. იცოდეთ, რომ მშრომელი ხალხი იარაღს არ აიყრის და იბრძოლებს სიკვდილამდე. და თუ მთავრობა მასზე გაიმარჯვებს, რაც ძლიერ საეჭვოა, იგი დარჩება მარტო, რადგან მთავრობა ხალხისათვის არ არის მთავრობა. საღი გონება გლეხებისა მაინც წინადადებას გაძლევთ დაანებოთ თავი ცუდ საქმეს და დაგვანებოთ თავი ჩვენ. ამ ძნელ დროში, როდესაც ცხოვრება ისედაც ჯოჯოხეთად იქცა, ხალხს არ სურს ვისიმე სისხლი დაღვაროს. ამის შემდეგ ყოველგვარ მოქმედებაზე იგი პასუხს არ აგებს. იცოდეთ, თუ ამის შემდეგ არ დამყარდება მშვიდობიანობა, თქვენ იქნებით დამნაშავე ყველაფერში. **მსოფლიო პროლეტარიატის** წინაშე თქვენ მოგიხდებათ პასუხის მიცემა. თქვენ ნუ გგონიათ, რომ ადვილათ გაიმარჯვებთ ჩვენზე. ჩვენი სოლიდარობა უფრო მტკიცდება, და მაშასადამე, ძალები იზრდება. იარაღი საკმაო გვაქვს, ასე რომ უეჭველათ ჩვენ ანგარიში უნდა გაგვიწიოთ და ძლიერათაც. თუ თქვენ მართლა ჭეშმარიტი მეგობრები ხართ ხალხისა, რომელსაც დღეს თქვენ აშინებთ, დაგვანებეთ თავი. ჩვენ უნდა ვიმუშავოთ. თუ არ ვიმუშავეთ, თქვენ და ჩვენც შიმშილით დავიხოცებით. ეს ლაქუცი—თხოვნა კი არ არის დამარცხებულისა, არამედ არის პატიოსანი წინადადება რევოლიუციონური გლეხობისა, რომელსაც სწამს თავისი სიმართლე. ჩვენი პირობები: 1) შეაჩერეთ სამხედრო მოქმედება და გაიყვანეთ წითელი გვარდია ჩვენი რაიონიდან, დაგვტოვეთ მშვიდობიანათ. 2) გამოუშვით ჩვენი ტყვეები. ჩვენი მხრით ჩვენს ფრონტს დემობილიზაციას ვუზამთ და გამოვუშვებთ თქვენს ტყვეებს. თუ გინდათ შერიგება, გამოგზავნეთ დელეგატები სამშვიდობო პირობების გამოსამუშავებლათ ჩვენს შტაბში. **ამბოხებულ გლეხთა შტაბი — საჩხერის რაიონისა**“.

———

საჩხერის ამბოხებული გლეხობა რუსული მოწოდებებით მიმართავს ხალხს, მთავრობას, გვარდიას. არ იფიქროთ, თითქოს მარტო რუსულის მცოდნე ხალხი ედგეს სათავეში ამ აჯანყებებს. ქართველებიც არიან. ამ მხრით საქმე კარგათ აქვთ მოწყობილი. თედო შოშიაშვილი, მაგ. ქართველია, რომელიც დუშეთის აჯანყებას მეთაურობდა. თუ რა პიროვნებაა ის, ამას მკითხველი რამდენიმეთ გაცნობილია. დამატებით ცნობებს გაიგებს ქვემო დაბეჭდილი წერილიდან:

### თედო შოშიაშვილი—სიხარულოვი.

1916 წლის იანვრის რიცხვებში ციმბირში ყოფნის დროს სხვა პოლიტიკურ გადასახლებულთა შორის ჩვენთან მოიყვანეს დასასახლებლათ ვინმე სიხარულოვი, ხელობით ფოტოგრაფი, რომელიც დასახლებულ იქნა მდ. ილიმსკზე,—სახელდობრ, სოფ. ნიჟნი-ილიმსკის ვოლოსტში (ირკუტსკის გუბ. კირენსკის მაზ.) ერთ-ერთ სოფელში. იქ ორიოდე ქართველები-ღა დავრჩით, დანარჩენები-კი დაიქსაქსა ზოგი ნებართვით და ზოგიც არალეგალურათ. ჩამოსვლისთანავე სიხარულოვს გავეცანით, როგორც ქართველს და გვინდოდა გაგვეგო მისი პოლიტიკური მიმართულება და რა საქმეზე იყო ციმბირში გადმოსახლებული, მაგრამ ბევრი ვერაფერი გავიგეთ, ვინაიდან ძლიერ მალავდა თავის მიმართულებას, მხოლოდ ლაპარაკში კი ხშირათ ვატყობდით მას ანარქისტების ქებას და ბოლოს თითონაც ანარქისტ ინდივიდუალისტათ გამოაცხადი თავი, თუმცა ეტყობოდა, რომ მას არავითარი კავშირი არა ჰქონია არც ერთ სერიოზულ პოლიტიკურ მიმდინარეობასთან და ის მხოლოდ დამცემი და გამოქნილი „შანტაჟისტის“ ტიპს უფრო მოგაგონებდათ, ვიდრე რაიმე ხელმძღვანელი პარტიის პოლიტიკის მატარებელს.

მარტის იმავე წლის უკანასკნელ რიცხვებში მას, როგორც ფოტოგრაფს, ნება დართო კირენსკის მაზრის „ისპრავნიკმა“ სამაზრო ქალაქში ცხოვრებისა და წავიდა კირენსკში. სიხარულოვს ციმბირში მერე აღარ შევხვედრივარ; მხოლოდ შარშან ივნისის უკანასკნელ რიცხვებში, როგორც ამნისტიით რევოლიუციის მიერ განთავისუფლებული, სხვა ამხანაგებთან ერთად, მეც მარგუნა ბედმა სამშობლოში დაბრუნება ციმბირიდან.

ჩვენი დაბრუნების დროს შარშან ზაფხულში ალექსანდროვის ბაღში დიდ მოდაში იყო მიტინგები და, რასაკვირველია, ბოლშევიკების დემაგოგობას დიდი გასავალი ჰქონდა იმ ხანებში, ვინაიდან მაშინ დაიწყო რუსეთის ჯარის გახრწნა, განადგურება და მას მოჰყვა შემდეგ სრულიად ფრონტების დაშლა და რუსეთის რევოლიუციის უფსკრულამდე მიყვანა და ჩვენი დღევანდელი მდგომარეობა ავანტიურისტების მეოხებით...

აი სწორეთ, როდესაც ბოლშევიკების 4—5 ივლისის ავანტიურა დამარცხდა პეტროგრადში და თფილისშიაც ბოლშევიკებს არ ეძინათ, რომ ხელი შეეწყოთ ლენინის „ტახტზე ასვლისათვის“, აი ამ დროს ალექსანდროვის ბაღში, მიტინგზე შევხვდი ამ სიხარულოვს, (თედო შოშიაშვილს), რომელიც დიდი აღტაცებით ტაშს უკრავდი ბოლშევიკების ორატორს ბოგდანოვს ლაპარაკის დროს და თვითონაც, ალბათ, ელოდა იმ საათს, რომ პეტროგრადის ივლისის ავანტიურას აქაც გამოძახილი ეპოვა, რომ „შანტაჟისტი“ სიხარულოვი (თედო შოშიაშვილი) რომელიმე მაზრის კომისრად მოვლინებოდა მაშინ ჯერ კიდევ რუსეთთან მყოფ საქართველოს...

მივედი მე მასთან, სალამი მივეცი, როგორც ციმბირის ნაცნობს, ვკითხე, თუ როგორ უყურებდა იგი მაშინდელ პოლიტიკურ მომენტს და დაადასტურა, რომ „საბჭოების მთავრობა“ აუცილებლათ საჭიროა ჩვენი ხალხის „კეთილდღეობისათვისო“... მე მაშინაც არ ვიცოდი მისი მიმართულება, სხვათა შორის შევეკითხე და ბოლშევიკების „თანაგრძნობით“ იყო გაჟღენთილი. ისტორიის ჩარხის ბრუნვამ ბატონობა რუსეთში ბოლშევიკებს ჩაუგდო ხელში, მხოლოდ საქართველოს კუთხე გადაურჩა მათ ჯერ-ჯერობით დაურბეველი და გაუნადგურებელი, რაც თედო სიხარულოვებს და მათ კომპ. მოსვენებას არ აძლევს. სიხარულოვს უფრო ახლო გავეცანი, როცა თურდოსპირელის კორესპონდენციებს ვკითხულობდი დუშეთის მაზრიდან და იქ ამოვიკითხე მის ეპისტოლესთან ერთად გლეხებისადმი ბენია ჩხიკვიშვილის შენიშვნა მისი ვინაობის შესახებ და მისი ციმბირში ყოფნაც მაშინ წარმომიდგა თვალწინ ნათლად...

უ. ჯაში.

## ერთხელ კიდევ!..

(პასუხად სე—ჟას)

რუსულ გაზ. „ტრუდოვოე ზნამია“ში ზედიზედ ორი წერილი იყო მოთავსებული ჩემს საწინააღმდეგოთ. როგორც პირველი, ისე მეორე წერილის ავტორები ისეთ რამეს მაწერენ, რაც მე არ მითქვამს და არც შეიძლებოდა მეთქვა. მე სულ სხვას ვამბობდი და სხვას ვებრძოდი და თუ ეს ვაჟბატონები ჩემს ნათქვამს ასე ამახინჯებენ, მიზანიც აქვთ: სურთ ჩემს წინააღმდეგ აამხედრონ არა ქართველი მუშები და მით ხელი დააფარონ თავიანთ ცოდვებს და ღალატს მუშათა მოძრაობისადმი.

ჩამოვედი თუ არა თფილისში, ჩემთვის ცხადი შეიქნა ჩვენი მუშების გულგრილობა ბეჭდითი საქმის მუშათა კავშირისადმი. ისიც გამოირკვა, თუ რა იყო ერთი თითქმის უმთავრესი მიზეზთაგანი, რომ ქართველი მუშები შესაფერ მონაწილეობას ვერ იღებდენ კავშირის საქმეებში: კავშირის საქმეთა წარმოება ხდებოდა მათთვის მიუწვდომელ ენაზე, ჩვეულებრივ თუ არა ჩვეულებრივ საზოგადო კრებებზედაც ვერ ისმენდენ ქართულ ლაპარაკს.

რაც უნდა ამტკიცონ ხსენებული გაზეთის ფურცლებზე ბერგმანმა და სე—ჟამ, ფაქტი მაინც ფაქტათ დარჩება—ტარიფი ინსტრუქციები და განცხადება-მოწოდებები იბეჭდებოდა რუსულათ და არა სხვა ენებზე და ასეა დღესაც. როცა ამბობენ, რომ ყველას შეეძლო თავის ენაზე ელაპარაკაო, უნდა შემდეგი ვუპასუხო: ისეთი პირობები იყო შექმნილი, რომ ეს არ ხერხდებოდა. და რომ ეს ასეა, ამის მაგალითად ავიღოთ თუნდა თვით სე—ჟას სიტყვები, სადაც ის ამბობს, რომ 13 ივნისის კრებაზე გამოვიდა ერთი მენშევიკი მუშა და უწინასიტყვოდ და მსმენელთა სურვილის წინააღმდეგ დაიწყო ქართულათ ლაპარაკიო. სხვებს არ მიუქცევიათ ამისთვის ყურადღება, მაგრამ მე ცოდვილმა ვიფიქრეო: ეჰე, ნაციონალური თვითშეგნება ფართოვდებაო.

აბა შეხეთ, გულში რა ლახვარივით სცემია სე—ჟას ქართულათ სიტყვის წარმოთქმა! აი როგორ უცქერიან ამ საკითხს სე—ჟა—ბერგმანები! ჩვენ ეს კარგათ ვიცით და ამიტომ ვამბობთ—სტყუიან ისინი, როცა ამტკიცებენ—ყველას შეუძლია თავის ენაზე ილაპარაკოსო. ერთი რამ კიდევ არის საყურადღებო ზემოთ მოყვანილ სიტყვებში: „მსმენელთა სურვილის წინააღმდეგო“! 13 ივნისის კრებაზე, როცა მე რუსულათ დავიწყე ლაპარაკი, აქეთ-იქიდან მესმოდა: ქართულათ ილაპარაკე, რუსულს ვერ მივმხვდარვართო. მე კიდეც შევასრულე მათი სამართლიანი თხოვნა. განა ეს არ შეუნიშნავთ ხსენებულ ვაჟბატონებს? როგორ არა, მაგრამ განგებ თავს იკატუნებენ, ყურს იყრუებენ!

ემიგრანტობის დროს სტამბოლში ერთი რუსი ემიგრანტი, მიმართულებით ს.-რ., მეკითხებოდა: განა ქართველებმა ყველამ არ იციან რუსულიო?! როცა მე ვუპასუხე—არა მეთქი, გაკვირვებული დარჩა. ვინც მას ქართველი ენახა, თურმე ყველას სცოდნოდა თუ წმინდა რუსული არა, დამტვრეული მაინც და სწორედ შიტომაც შეედგინა ქართველებზე ასეთი აზრი. ვერ გავამტყუნებთ ბოლშევიკ ბერგმანსაც, თუ იგიც ამავე შეხედულებისაა, მაგრამ საოცარია, როცა ამ აზრს იზიარებს ქართველი მუშა, თუნდაც ისეთი ტიპისა, როგორიც სე—ჟაა! განა მას თავისი თვალით არ უნახავს რუსულის არ მცოდნე ქართველი მუშები? დიახ, ბატონებო, კარგა ბლომათ არიან რუსულის არ მცოდნენი ჩვენ შორის. მხოლოდ მეტად მცირე ნაწილი ახერხებს რუსულათ ლაპარაკს, ისიც ჰაპან-წყვეტითა და ენის მტვრევით. განა ამასაც მტკიცება უნდა?

მე ვცდილობდი ჩემი წვლილის შეტანით კავშირში მუშაობა გამეცხოველებია და საერთო ძალით დაგვეძლია გაბატონებული გულგრილობა. როცა დავინახე, რომ ბოლშევიკურათ მოაზროვნე ხელმძღვანელები საქმეს ურევდენ, შევეცადე მათი გავლენის დაცემასაც. ამის შემდეგ იყო, რომ „ტრუდოვოე ზნამია“-ს თანამშრომლები ბერგმანი და სე—ჟა თავიანთი ამყოლებით ჩემს წინააღმდეგ ამხედრდენ და ათასნაირ ცილისწამებას მახვევენ თავს.

მე, როგორც „ერთობის“ 20 ივლისის ნომერშიაც ვამბობდი, წინააღმდეგი ვიყავი მუშათა ორგანიზაციებში ნაციონალიზაციის მოხდენისა. მე ვიყავი მომხრე და დღესაც ვარ, რომ ქართულ ენას შესაფერი ადგილი მიეცეს კავშირში, ისე კი, რომ სხვა ენებიც არ იქმნენ იქიდან განდევნილნი. ხოლო ნაციონალიზაცია რომ მოხდეს (რაც არ არის დასაშვები), მაშინ ხომ სხვა ენებს ადგილი სრულებით აღარ უნდა ჰქონდეთ?! როგორც სჩანს, აქაც ისეთ რამეს მახვევენ თავს, რაც სინამდვილე სრულებით არ არის.

ყველა ის ცილისწამება და გადამახინჯება რომ ჩამოვთვალო, რომელთაც სე—ჟა სთხზავს ჩემს შესახებ, ძლიერ შორს წაგვიყვანს. ისევ მუშა-მკითხველთა სინდისისათვის მიმინდვია თვითვე დასდოს ფასი სე—ჟა ბერგმანისთანა „მოწინავეების“ მოღვაწეობას. მე კი ამით ვათავებ მათ საპასუხოდ წერას.

სოლ. ვადაჭკორია.

## სოც. დემ. საექიმო პერსონალის კრება

კვირას 21 ივლის მოხდა პირველი დამფუძნებელი კრება სოც. დემ. საექიმო პერსონალის, რომელსაც დაესწრო ორმოცამდი წევრი. დღიურ წესრიგში იყო შემდეგი საკითხები: ა) საჭიროება ასეთი კავშირის დაარსებისა, ბ) მიზანი ამ საზოგადოებისა, გ) ორგანიზაციულად მოწყობა. პირველი კითხვის შესახებ მოკლე მოხსენებით გამოვიდა ექიმი ნ. რუხაძე, მან სთქვა: ჩვენ პარტიას ცხოვრების მსვლელობამ დააკისრა ძველი მართველობის აპარატის დახგრევასთან ერთად ახლის აშენებაც, მაგრამ აღმშენლობა თხოულობს დიდ შრომას და აგრეთვე სპეციალისტ მცოდნეთ;— ჩვენი პარტია, უნდა ჩაერიოს ყოველ დარგში, როგორც დემოკრატიის და პროლეტარიატის იდეოლოგის მატარებელი. ერთი უმთავრესი და მნიშვნელოვანი დარგი არის ჯანმრთელობის საქმის მოწყობა მაგრამ დღემდის არაფერი გაკეთებულა. ეხლა, ჩვენ ფაქტის წინაშე ვდგევართ, რომ თანდი თან ვრცელდება გადამდები სენი ხოლერა, ჩვენ უნდა საექიმო-სასანიტარო საქმე ჩვენი მუშაობის დღიურ წე რიგში დავსვათო;— დიდი უმრავლესობა გადამდები სნეულებისა არის სოციალური უთანასწორობა და უფრო სასტიკ ხასიათს ღებულობს იგი კაპიტალისტურ წესწყობილებაში. ჩვენ კარგათ ვიცით, რომ ჭლექი, მალარია, სისხა, ხოლერა და სხ., მუდმივი სტუმარია ღარიბთა უბნების, და მომხსენებელს მოჰყავს ამის დამამტკიცებელი ფაქტები. მომხსენებელმა საჭიროდ დაინახა მჭიდრო კავშირის დაარსება. აზრის გაცვლა-გამოცვლის შემდეგ გადაწყდა ასეთი კავშირის დაარსება. გადასწყდა დროებითი ბიუროს ამორჩევა, რომელსაც მიენდო მეორე კვირისთვის უფრო ფართე კრების მოწვევა, რომელმაც უნდა განიხილოს წესდება და ამოირჩიოს მუდმივი ბიურო. დროებითი ბიუროს წევრებათ თანხმობა განაცხადეს და ამორჩეულ იქნენ: ექ. ამ. მგალობლიშვილი, ნ. რუხაძე, ი. ცინცაძე, ქ[illegible]ძე, ბეითალი აბმეტელაშვილი და გ. [illegible]შვილი. კრება დაიხურა დღის 3 საათზე.

გ. [illegible]შვილი.

## რაჭის ამბები

ამ უკანასკნელ დროს ხალხის სულის კვეთება სავსებით შეიცვალა. ბოლშევიზმს და მის სულის ჩამდგმელ ფრონტიდან მოსულ ჯარისკაცებს მთლად გამოეცალა ნიადაგი. მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენი ამხანაგების მუშაობა ამ უკანასკნელ ხანებში მიმქრალი იყო. და ჩვენი ორგანიზაციებიც [illegible] ბოლშევიზმს მესვეურ[illegible] არავინ ყავდათ, [illegible] გლეხებმა უნდ[illegible] წყეს ცქერა ახლად მოვლენილ „სოციალისტ“ ბოლშევიკებს.

ეს ასეც უნდა მომხდარიყო ბოლშევიკების „მოღვაწეობის“ შემდეგ. ბოლშევიზმს რომ ნიადაგი გამოეცალა რაჭაში, ამას ისიც მოწმობს, რომ საშა გეგეჭკორი, რომელიც რაჭაში შევიდა რაჭველების თავის რაზმში ჩასაწერად, იძულებული გახდა თავის მოსული რაზმით მამისონის უღელტეხილით გაპარულიყო კავკავისკენ. ამას გარდა ლიკორ-წმინდის რაიონში, რომელიც ითვლება „ბოლშევიკურ“ რაიონათ მთელ მაზრაში, სოფელ თლუღში შემთხვევით მისულ მთავრობის ჯარს ხალხმა იარაღი მიართვა და დააჭერინა საზოგადოების კომისარი ბოლშევიკი და სხვა „ბოლშევიზმის“ მქადაგებლები. ყოველივე ამას უნდა დაუმატოთ ისიც, რომ ამ უკანასკნელ დროს თვით ბოლშევიკების ბანაკში მოხდა დიდი არევ დარევა, როგორც უმთავრესად ლიკორ-წმინდის რაიონში, ისე მთელ მაზრაში. მათი ბანაკის არევ-დარევა უმთავრესად გამოიწვია შემდეგმა ფაქტმა: ბოლშევიკურ ორგანიზაციებს მიუღიათ წერილი რუსეთის საბჭოს მთავრობის ერთ ერთი სახალხო კომისარის ბ. სტალინისა. ამ წერილში იგი ამხანაგებს ურჩევს: „არამც და არამც საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობას იარაღით წინააღმდეგობა არ გაუწიონ, არამედ აწარმოვონ ბრძოლა მხოლოდ პარლამენტარული გზით“. ამასთანავე იწერება, რომ მთელ რუსეთში მხოლოდ საქართველომ შეინარჩუნა რევოლიუციის მონაპოვარი და თუ გინდათ, რომ მას უკრაინის ბედი არ დაატყდეს ანარქიულ გამოსვლებს თავი დაანებეთო, აქ უკვე კონტრ-რევოლიუცია იმარჯვებსო და სხვ.

ამ წერილის მიღების შემდეგ ზოგიერთმა ადგილობრივმა ბოლშევიკებმა იცვალეს ფრონტი და ჩვენი მთავრობის საწინააღმდეგო ქადაგებას თავი მიანებეს. ბევრი მათგანი, როგორც დამარცხებულები, ანებებენ სოფელს თავს და იცვლიან ბინას; ამას მოწმობს ლიკორ-წმინდის საზოგადოების გლეხთა საბჭოს კრება, რომელიც თავის შემადგენლობით წმინდა ბოლშევიკურია. ამ საზოგადოების საბჭოს წინაშე წამდგარა ორი დელეგატი: ერთი ლეჩხუმის მაზრიდან გამოგზავნილი და მეორე საჩხერიდან, რომელნიც სთხოვდენ რაჭის მაზრას დახმარებას მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლაში, მაგრამ როგორც ერთმა, ისე მეორემ კატეგორიული უარი მიიღო. უკანასკნელათ ლეჩხუმის წარმომადგენელი სთხოვდა საბჭოს, რომ ჩვენ მაინც მოგვეცით უფლება, რომ ნაქერალის უღელტეხილი გავამაგროთო, რომ ტყიბულში მყოფი რაზმი არ შემოვიდეს რაჭაშიო და იქიდან ლეჩხუმს უკანიდან არ მოუაროსო, მაგრამ ამაზედაც უარი მიიღო. ამ კრებაზე იქნა მიღებული რეზოლიუცია, რომელიც უცხადებს მთავრობას სრულ ნდობას და მზათ არიან ყველა მისი მოთხოვნილება დააკმაყოფილონ, რისთვისაც გზავნიან მთავრობასთან დეპეშას. ასეთივე კრება მოხდა მთელი ქვემო-რაჭის რაიონულ საბჭოებისა ამბროლაურში, სადაც დაახლოვებით ასეთივე რეზოლიუცია იქნა გამოტანილი.

ამ უკანასკნელ ხანებში ლეჩხუმის ანარქია ძლიერ ფართო ხასიათს ღებულობს. მთავრობის რაზმი რომელი გზითაც ის მიდის, ლეჩხუმის ბოლშევიკურ ბრბოების ასალაგმავათ, დიდ დაბრკოლებებს ხვდება და ბრძოლაც დიდხანს გასტანს, ამიტომ საჭირო იყო ჯერ რაჭის მაზრაში სრული წესიერების აღდგენა და აქედან ლეჩხუმში გამგზავრება. რაჭიდან ლეჩხუმში ძლიერ ადვილი ასაღებია, რადგან ლეჩხუმს აქედან არა აქვს ასეთი კარები, როგორიც ქუთაისიდან და მასთან თუ კი სვანეთიც მხარს დაუჭერდა მთავრობის რაზმს, ოპერაცია კიდევ უფრო გაადვილდებოდა. თორემ ახლა ქუთაისიდან გასულ რაზმს ლეჩხუმის კლდეებში ბოლშევიკური რაზმები დიდხანს გაუწევენ წინააღმდეგობას. არტილერია ამ კლდეებში ძნელი სამუშაოა, გზების მოჭრაც ადვილია.

ამასთანავე დამარცხების დროს უკან დახეული ბოლშევიკური ბრბოები წავლენ ორი გზით: სვანეთისკენ და რაჭისკენ.

რაჭის და სვანეთის საზღვრებზე ამ ჟამათ მდგარი ადგილობრივი მცირე რაზმები მათ ვერ შეიმაგრებს, შევლენ ამ კუთხეებშიაც და ეჭვი არ არის რომ, აქ ისინი იშოვნიან ავაზაკთა ბრბოებს და მთელ კუთხეს დააყენებენ ტერორის ქვეშ და შეიძლება მთავრობის საწინააღმდეგოთაც გამოიყვანონ, გლეხები როგორც ეს მოხდა დუშეთში ბოლშევიკების წყალობით და საჩხერეში ოსების წყალობის.. ჯერ კიდევ დრო წასული არ არის და თუ კი მთავრობა არ გაუშვებს ამ მომენტს, რაჭაში ამ ჟამათ წესიერების აღდგენა, იარაღის შეკრება და სხვა ეს სულ მცირე ძალებით შეიძლება, როგორც მთავრობის პროპაგანდისტების წყალობით, ისე მცირეოდენი შეიარაღებული რაზმით, რომ ავაზაკებმა იგრძნონ,

რომ შეიარაღებული ძალა არსებობს მაზრაში. ამნაირათ საჭიროა ძლიერ დაჩქარებით რაჭის მაზრაზე მთავრობის ყურადღების მიპყრობა ზემო-მოყვანილ წესით, რასაც მოითხოვს თვით რაჭის მშრომელი ხალხიც.

სურსათი ამ ჟამათ რაჭაში, სამყოფი გადმოდის ქამისონის უღელტეხილით და როგორც ამბობენ ონში ფუთი სიმინდი ფასობს 25 მ. და პური კი 80 მ. მოსალოდნელია კიდევ დაკლება. დაჩქარებით ლეჩხუმის გზის გაწმენდა მისცემდა ქუთაისს და დამშეულ ნახარევებს სამყოფ სიმინდს. წრევანდელ მოსავალს ძლიერ კარგი პირი უჩანს და გლეხკაცობაც მუყაითათ ეკიდება სამეურნეო საქმეს. ამ ჟამათ რაჭაში მიმავლებს შესვლა შეუძლია მხოლოდ ნაქერალით, სადაც სდგას მთავრობის რაზმი და ნებართვებს თხოულობს. აქამდი კი ნაქერალზე ავაზაკური ბრბოები თარეშობდენ და ხალხს სძარცვამდენ.

დასასრულ მივაქცევ თფილისში მომუშავე რაჭველ ამხანაგების ყურადღებას, ასეთ საბედისწერო დროს მოეშველონ კუთხეს შეგნებული ძალებით. არ არსებობს რაჭისთვის ხეირიანი გზა, არ მოდის არავითარი პერიოდული გამოცემები, ჟურნალ-გაზეთები და სხვა. მთელი ხალხი და აქაური ამხანაგებიც მოწყვეტილი არიან მთელ ქვეყანას, რაც ხელს უწყობს ბოროტ-პროვოკაციას და ყოველივე ბნელ გამოსვლებს.

შაქრო ხიდისკარელი.

## სააღ.-მამულო რეფორმა

**სამეგრელო.** მიწის საკითხი მთავარი საკითხია და ამის სიწორით გადაჭრას დიდი მნიშვნელობა აქვს ისეთ გლეხურ კუთხისათვის, როგორიცაა საქართველო. 7 მარტის კანონის ძალით თითქმის ყველგან უკვე ჩამოართვეს მემამულეებს ზედმეტი მიწა და ახლო მომავალში ჩვენმა მთავრობამ უნდა შეიმუშაოს მისი მფლობელობის ფორმა, ე. ი. ვის და როგორ უნდა გადაეცეს ეს მიწები. ეჭვი არაა ეს საკითხიც გლეხების სასარგებლოთ გადაიჭრება, მაგრამ, როგორც გლეხმა, მინდა ცოტა რამ ამ აღძრული საკითხის შესახებ მოგახსენოთ. ამ თემაზე მქონდა ნაცნობ გლეხებთან საუბარი და ამის შესახებ ზოგმა ასე მიპასუხა: „მუდამ რომ იჯარა ვიხადოთ, იმას გვირჩევნია, ერთხელ და სამუდამოთ მივისაკუთროთ მიწა. ბევრი თუ გადაგვახდევინეს ყიდვის დროს, ზოგიერთები ამას ვერ შევძლებთ. მე სალდათათ ვიყავი ღმერთმა იცის იქ არაფერი მიშოვნია, სახლში წვრილ ცოლ-შვილი რას დამახვედრებდა, ჩემისთანა გლეხებს უეჭველათ უფასოთ უნდა დაურიგონ მიწაო“.

„არა, ისევ მდიდრებს ჩაუვარდება მიწა, ისინი ფულს არ დაზოგავენ, ოღონდ მიწა შეიძინონ. ქვრივ-ობლებს რა ეშველება, მათ როგორ იშოვნონ ფული მიწის სასყიდლათ? თუ გინდა კარგი გლეხებისთვის, აიღე და დაურიგე ყველას მიწა უსასყიდლოთ“-ო. ამნაირათ მიპასუხებდენ გლეხების უმეტესობა.

ყველასთვის ცხადი უნდა იყოს, რომ გლეხი კერძო საკუთრების მოტრფიალეა, ის მიწას იმიტომ უვლის, რომ ეს მიწა მუდამ მას და მის შთამომავლობას დარჩეს. გლეხი მუდამ მიწაზეა მიკრული, ის მუდამ ფიქრობს და ამბობს: ეს მიწა ჩემია, ეს ჩემი საკუთრებაა, ჩემ მიწაზე კარგი სიმინდი ამოსულა და სხვა. გლეხი რევოლიუციას იმდენათ უჭერს მხარს, რამდენათაც მეტ მიწას მიისაკუთრებს. ასე უყურებს გლეხი ყოველივე პოლიტიკურ პარტიას.

უნდა აღვნიშნოთ, რომ აქ იბადება შემდეგი კითხვები: რა ჰქნას იმ გლეხმა, რომელიც რამდენიმე წელიწადს ომში იყო, სახლში კი მარტო წვრილი ცოლ-შვილი ჰყავდა ან შრომის უნარს მოკლებული, მოხუცებული დედ-მამა? როგორ გამოიყიდოს მიწა ქვრივ-ობლებმა? ყველა ამას ანგარიში უნდა გაუწიოთ. ჩვენი პარტია, ამ რევოლიუციის დროს მიწად მფლობელობის ფორმას სწყვეტდა ყოველთვის ადგილობრივ პირობების და მიხედვით და ხალხის უმეტესობის სურვილის თანახმად და ახლაც ამ ნაცად გზას არ გადაუხვევს.

მიწათ მფლობელობის საკითხი სასურველია გადაწყდებოდეს შემდეგ ნაირად: გლეხობა უნდა გაიყოს ორ კატეგორიად, პირველში შევლენ ჯერ ერთი ყველა ის გლეხი ჯარისკაცები, რომლებთაც სახლში მარტო წვრილი ცოლ-შვილი ჰყავდათ, ანდა შრომის უნარ მოკლებული, მოხუცებული დედ-მამა და მეორეც ქვრივ-ობლიანი ოჯახები, ამ კატეგორიის წევრთ მიწა უნდა დაურიგდეთ უსასყიდლოთ; მეორე კატეგორიაში შევლენ ყველა ასე თუ ისე შეძლებული გლეხები და ცენზიანი ელემენტები, რომლებსაც მიწა გადაეცემა შედარებით მცირე ფასებში. ასე მიწა უნდა გადავიდეს გლეხების ხელში კერძო საკუთრებათ და რაც შეიძლება თანასწორად. ყველა ეს მუშაობა უნდა მოხდეს ადგილობრივ კომიტეტების და ორგანიზაციების ხელმძღვანელობით. ასეთი ფორმით საკითხის გადაჭრა დიდ ნდობას მოუპოვებს, როგორც რევოლიუციონურ პარტიებს ისე საქართველოს მთავრობას საერთოდ გლეხკაცობაში. პირველ კატეგორიის გლეხები არც იმდენ მრავალ რიცხოვანი იქნებიან, რომ დიდი ხარჯი ნახოს სახელმწიფომ, ხოლო ამ უკანასკნელის განმტკიცებას ასე საქმის მოგვარება, მეტად ხელს შეუწყობს.

შეიძლება ზოგიერთებმა სთქვან, რომ გლეხების კატეგორიებად დაყოფა დიდ სიძნელეს წარმოადგენსო, მაგრამ ეს არც ისე ძნელი იქნება, თუ ერთსულოვნად, მტკიცედ და სიყვართულით მოვეკიდეთ საქმეს.

ქ. სარჩიელი.

## ს.-დემ. პარტიაში

**თფ. საქონლის სადგური.** 20 ივლისს მოხდა ს. დ. ორგანიზაციის კრება. დღის წესრიგში იყო დასმული შემდეგი კითხვები: 1) მოხსენებები პროფესიონალური კავშირისა, 2) ახალი კომიტეტების არჩევა, 3) საგამომძიებლო კომისიის გაუქმება თანახმად რკ. გზის ადმინისტრაციის დადგენილებისა, 4) მცირე კოლექტივში წარმომადგენლის არჩევა, 5) არა საიმედო პარტიის წევრთა გარიცხვა პარტიიდან, 6) ანგარიშების გამოსწორება, 7) ბოროტებასთან ბრძოლა, 8) სასურსათო საკითხი, 9) საწევრო ბარათები, 10) მოხსენება სარევიზიო კომისიისა, 11) ვასო ბაიანოვის საქმე, 12) ვარდენ სიხარულიძის განცხადება. პირველი კითხვის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. გრ. დ. ცინცაბაძე. მან გააცნო კრებას იმ ორი ამხანაგების ბედი, რომელთაც ადერბეიჯანის მთავრობამ სიკვდილით დასჯა მიუსაჯა. „გუშტელი“ ამხანაგები მედგრათ იცავდა მუშათა კლასს და საერთოდ დემოკრატიის ინტერესებს და ამისთვის ხალხის მტრებმა მათ სიკვდილი გადაუწყვიტესო. ჩვენი ვალია ყოველგვარი დესპოტიზმის წინააღმდეგ ხმა ამოვიღოთო. ამის შესახებ გამოტანილ იქნა შემდეგი რეზოლიუცია; ჩვენ, თფ. საქონლის მუშები, სასტიკ პროტესტს ვაცხადებთ ასეთ ძალადობის წინააღმდეგ და მოვაგონებთ ყველა დემოკრატიის მტრებს, რომ ისინი ვერ ჩაჰკლავენ იმ წმინდა რწმენას და იმ იდეალებს, რომელთაც ემსახურებოდენ ამხ. ალიევი და სანიევი. შემდეგ ამხანაგი ეხება უპასუხისმგებლო პირების და პროვოკატორების მოქმედებას. ესენია, ბალშევიკების სახელით მოვლენილი საქართველოში და ცდილობენ, რითაც შეიძლება სახელი გაუტეხონ საქართველოს რესპუბლიკანურ მთავრობას და საზოგადოთ რევოლიუციონურ ს.-დ. ორგანიზაციებს, რომ წინააღმდეგ აამხედრონ მასსა, მაგრამ დემოკრატია უფრო და უფრო ეცნობა ბალშევიკების შავ-ბნელ მისწრაფებათა შინაარს და ორგანიზაციულად ებრძვის მათ შავრაზმულ მოღვაწეობას.

ვრცელი ახსნა განმარტების შემდეგ კრებამ ერთხმათ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „ითვალისწინებს რა კრება დღევანდელ მომენტს, რომ საქართველოს მთავრობა მიზან შეწონილათ და მტკიცეთ მუშაობს რევოლიუციის მონაპოვართა შენარჩუნებისათვის, კრება უძღვნის ამხანაგებს სალამს და უსურვებს ხანგრძლივ და ენერგიულ მუშაობას. შეერთებული კრება ვალათ იღებს თავის თავზე დაეხმაროს მთავრობას ამ მძიმე ტვირთის ზიდვაში, აძლევს წინადადებას თავის წევრებს დაუყონებლივ ჩაეწერონ სახალხო გვარდიაში, რითაც საშვალებას მისცემენ მთავრობას დემოკრატიულ რესპუბლიკის შენარჩუნება-გამაგრებაში“.

ჯამაგირების შესახებ მოხსენებას აკეთებს. წინანდელ კრებაზე არჩეული კომისია, ამის შესახებ გამოვიტანეთ შემდეგი დადგენილება: რადგან ეკონომიური კრიზისის გამო შესაძლებელია მოხდეს სადგურებში ანარქიული გამოსვლები, ამიტომ მიეცეს წინადადება რკ. გზის უმთავრეს მართველობას და საქართველოს მთავრობას, დროზედ იქნას მიღებული ზომები ჯამაგირების მომატების შესახებ. ამასთანავე მიეცეს წინადადება ადგილობრივ ორგანიზაციებს, რომ იცილოს ყოველივე ზომები მუშების დასაკმაყოფილებლათ. დასასრულ მოხდა პროფესიონალური კომიტეტების გამოცვლა. აირჩა 5 კაცი: გრიგოლ ცინცაბაძე, იოსებ ბებძენიშვილი, ევტიხი ჩიგოგიძე, კირილე გაბუჩია, იაგორ ასამბაძე, კანდიდატებათ: კასიანე მიქაშავიძე და ერმალო ორმოცაძე.

კანტორის რეორგანიზაციის შესახებ კრებამ გამოსთქვა სურვილი შეამციროს შტატი „კანტორჩიკებისა“. მასთან ევალება პროფესიონალური კომიტეტის პრეზიდიუმს, რომ უკანასკნელათ წინადადება მისცეს „ტაბელშჩიკს“, რომ მან იმუშაოს ენერგიულათ, თუ უნდა სამსახური, და წესიერად მოეპყრას ხალხს, წესდებისდა მიხედვით. კრებამ დაადგინა, რომ საგამომძიებლო კომისიის მოვალეობას აასრულებს რკინის გზის მილიცია, დაცვა კი უდანაშაულოების ევალება პროფესიონალურ კავშირს მცირე კოლექტივის წევრად არჩეულ იქნა ერ. ორმოცაძე.

შემდეგ მოხსენებას აკეთებს სარევიზიო კომისიის წევრი 1918 წელს თებერვლის პირველ დღიდან ამა წლის ივლისის 14 მდე როგორც მოხსენებიდან სჩანს, მუშათა სასადილოს უვაჭრია 27,584 მ. 38 კ. ამ ხნის განმავლობაში გასავალი ყოფილა 25,635 მ. 97 კ. საწევრო და საპაიო ფულები შემოსულა 1228 მ. 50 კ. ინვენტარი 1513 მან. 70 კ., საქონელი ჰქონია დარჩენილი 294 მ. 70 კ. ნაღდათ რჩება კასაში 719 მ. 91 კ. მთელი ჯამი უდრის 3757 მ. 38 კ.

ს. ქრისტინეშვილი.

## მუშათა შორის

**რესტორან სასტუმროებში მომუშავეთა საყურადღებოთ.** რევოლიუციამ მოგვცა ჩვენ თავისუფლება, მოგვანიჭა უფლება პროფ. კავშირის დაარსებისა, და ფართო გზა გაგვიხსნა იდეური მუშაობისთვის. ყველა ჩვენგანმა იცის, თუ რა ჯოჯოხეთურ პირობებში გვიხდებოდ მუშაობა წინად და რანაირ დამცირებას ვიტანდით იმ შავბნელ დროს. როგორც ვიღაცამ გვიწოდა „კრახმალიანი მონებიო“, ჩვენ სწორედ ეს ვიყავით. რევოლიუციის სხივებმა შემოანათა ჩვენს სულშიაც, ჩვენმა პროფესიონალურმა კავშირმა იწყო მოქმედება ჩვენი საარსებო ინტერესების დაცვისათვის. მას შემდეგ ჩვენ წინანდელზე ათასჯერ უფრო კარგ პირობებში ვიმყოფებით და ვცხოვრობთ ადამიანურად.

დღეს კი პრ. კავშირის საქმე ვერ არის რიგზე, მეთაურები ჩამოშორდენ, მოწინავე ამხანაგებმა არტელებს, შეაფარეს თავი, თვით კავშირის კანტორაში არავინ არის, ასე, რომ თუ ასე გაგრძელდა, კავშირს დაშლა მოელის, ამიტომ მოქმედების გასავრცელებლად საჭიროა მოვიწვიოთ საზოგადო კრება და მოვაგვაროთ საქმე, თორემ თუ კავშირი დაგვეშალა ჩვენი მუშაობა და მდგომარეობა უკან უკან წავა.

გიგო ჯიქია.

## პროვინცია

**ხონი.** ამას წინეთ გაზეთებში გამოქვეყნდა იმ დეპეშის ასლი, რომელიც ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების კავშირის გამგეობის თავმჯდომარეს გაუგზავნია მთავრობისთვის. თავმჯდომარე რიხიანად ეკითხებოდა მთავრობას: ხონის კომისარმა მასწავლებელ გიორგი წივწივაძეს დაჭერით შეურაცყოფა მიაყენა და ერთი გვითხარით არის თუ არა მასწავლებლის პიროვნება საქართველოს რესპუბლიკაში ხელუხლებელიო.

სანამდის საქმის ფაქტიურ მხარეს შევეხებოდე, მკითხველის ყურადღებას ამ რაზე მივაქცევ. რისთვის უნდა იყოს მასწავლებელი, როგორც ასეთი ხელუხლებელი? ვსთქვათ დღეს მასწავლებლები აცხადებენ, რომ ისინი ხელუხლებლათ არიან, ხვალ ესავე გვამცნეს ფოსტის მოსამსახურეებმა, ზეგ აქციზმა და სხვ. ბოლოს საქმე აქამდის მივა, რომ ამავე უფლებას მოგთხოვენ მეეტლეები, მიკიტნები, მეარღანეები და სხვა. გამოდის, რომ ყველა კორპორაციის წარმომადგენელი ხელუხლებელია. ამ ნაირად როგორც ხედავთ ჩვენ აბსურდის წინაშე ვდგავართ. მარა რაც ყველა ჰკვათა მყოფელისთვის სისულელეა, ის სიბრძნეთ მიაჩნია გუბერნიის კავშირის თავმჯდომარეს. არც გასაკვირია: „ჩერნომორსკი ვესტ.“ ფურცლების გამყიდველი კვერცხებში, და ისიც მოსწავლე ბავშვებზე ცნობილ ლადო ნაცვლიშვილის პოლიტიკურ სიმწიფეს აბა რა უნდა მოვთხოვოთ. გვიკვირს ვინ წამოასკუპა ასეთი პიროვნება ასეთ ადგილზე!

სახელმწიფოში განსაზღვრულ დრომდე ხელუხლებელნი არიან მხოლოდ მთავრობის უმაღლესი (მინისტრები) პირები და პარლამენტის წევრები. დანარჩენი მოქალაქე ყველა თანასწორია, დაარღვევს თუ არა კანონს, წამსვე შესაფერად უნდა აგოს პასუხი.

სწორედ ეს ანონო მოქმედებისათვის დაიჭირეს მასწავლებელი წივწივაძეც და გვიკვირს რათ შეაწუხა მან უმაღლესი მთავრობა. აი როგორ იყო საქმე: ხონში საშინელი შიმშილობაა, ასეთი რამ მოხუცებსაც კი არ ახსოვთ, ფუთი სიმინდი 6—7 თუმანია და იმასაც კი ვერ შოულობენ. ადგილობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციები შეეცადენ გაჭირვებაში მყოფ ხალხისათვის რაიმე დახმარება აღმოეჩინათ; გადასწყვიტეს ზედმეტ სიმინდს თუ ვინმეს უნახვიდენ ჩამოერთმიათ. ამისათვის აირჩიეს კომისია, რომელიც იძიებდა თუ ვის რამდენი სიმინდი ჰქონდა. კომისია მიადგა წივწივაძესაც და სთხოვა ეთქვა სიმინდის რაოდენობა. წივწივაძემ პასუხის ნაცვლად საშინელი გინება აუტეხა კომისიას: თქვენი გამომგზავნი, თქვენი მთავრობა, ყველა დასახრჩობი ხაროა, ხალხს ღუპავთ, ატყუილებთო და ვინ იცის კიდევ რა. ბოლოს საქმე იქამდის მივიდა, რომ წივწივაძის სიტყვით სხვებიც სარგებლობდენ, ისინიც ურჩობდენ და ამნაირათ მშიერ ხალხის დასახმარებლათ მომუშავე კომისიას მოქმედება უნდა შეეწყვიტა. ყველაფერ ამისთვის მასწავლებელ- წივწივაძე, როგორც კონტრრევოლიუციონერი და საზოგადოებისთვის მავნე პირი ერთი ღამით დატუსაღებულ იქნა. აი ეს იყო საქმის შინაარსი.

ბ. წივწივაძე მარტო ამ შემთხვევით როდია ცნობილი: რომელ სასამართლოში გინდათ, რომ არ ეჩივლოს, მისი „კლიაუზები“ ყველასათვის ცნობილია. ჯერ მგონი ათამდე საჩივარი „ერთობის“ წინაპარ გაზეთების წინააღმდეგ ჰქონდა აღძრული—ტყვილა მლანძღავსო, მარა ვერასოდეს თავი ვერ გაიმართლა. ბავშვების ცემა, პირში ფურთხება, მშობლების გინება, ჩარჩობა, დანოსების წერა —აი რით ისახელა მან თავი ს. მათხოჯში მასწავლებლობის დროს. ის მრავალჯერ გაუკრავთ სამარცხვინო ბოძზე აქ და ადგილიც დაატოვებინეს, მარა სასჯელის ნაცვლად ზოგიერთებმა საქმე ისე მოაკვარახჭინეს, რომ ეს ყოვლად უვარგისი მოქალაქე და მასწავლებელი უკეთეს ადგილზე წამოსვეს. დეე, მათ იცოდენ და მათმა სინიდისმა, მე კი აი რით უნდა დავასრულო წერილი: წივწივაძემ ჯერ ერთი რომ მთავრობას მიახტა საჩივრით, მეორე მხრივ ს.-ფედერალისტების ადგილობრივ კომიტეტში იჩივლა: იმ კომისიამ ფედერალისტების პარტია გალანძღაო. დაინიშნა სასამართლო, რომელმაც ერთიანათ გაამტყუნა წივწივაძე, რომელსაც მისებურათ ხრიკოსნობა უნდოდა. ვეკითხებით ხონის ფედერალისტებს— არის თუ არა მათი პარტიის წევრი ეს ჯ ბატონი, რო ასე გულმტკივნეულად ამოუდგენ გვერდით. კერძოთ ამბობენ— არ არის ჩვენი პარტიის წევრიო, მარა სანამდის პრესის საშუალებით არ გამოუცხადებიათ ეს, ჩვენ ეჭვი გვეპარება. მაშ ველით ამ აქტს.

უცნობი.

---

**სამტრედია.** 17 ივლისს სამტრედიის რაიონში რკინის გზის მოსამსახურეებს შორის შესდგა წითელი გვარდიის რაზმი პორფილე გიორგაძის ხელმძღვანელობით, რიცხვით 40-მდე. გვარდიამ მიიღო იარაღი და მზად ვიყავით წასასვლელად. ჩვენ გვეგონა სანჩხრეში გაგვგზავნიდენ, მაგრამ წ სვლა ქუთაისში გადაიდო მეორე დღისთვის. ჩვენს რაზმში არიან ძველი ჯარისკაცებიც, რომელნიც აღჭურვილნი არიან რევოლიუციის და საქართველოს რესპუბლიკის სიყვარულით. ვუსურვებ სხვა ძველ ჯარისკაც ამხანაგებსაც მიჰბაძონ თავიანთ ტანჯულ ამხანაგებს და თავის გამოცდილი ხელით ანარქია ჩააქრონ. ყველა ამხანაგმა უნდა შეუწყოს ხელი საქართველოს რესპუბლიკის აყვავებას. ჩვენი ვალია დემოკრატიის და რევოლიუციის წმინდა სამსახური.

ივაკი გიორგაძე.

---

**სამეგრელო.** ეხლა, როდესაც ჩვენ ნორჩ რესპუბლიკას ამდენი მტრები აღმოუჩნდა, რაც შეიძლება მეტი სიფრთხილე და დაკვირვება უნდა გამოიჩინოს დემოკრატიამ. წესრიგის და სიმშვიდის დამყარებას ხელი უნდა შეუწყოს ყოველმა შეგნებულმა მოქალაქემ. სხვათა შორის ყოფილი პოლიციელები უნდა აილაგმოს, რადგანაც ესენი ყოველთვის ეცდებიან ხელი შეუწყონ ანარქიის გაძლიერებას. ამათი სულისკვეთება და სიმპატია ყოველთვის ძველი წესწყობილების აღდგენისაკენ არის მიმართული. ესენი „სოციალისტურ სამოსელში“ არიან გახვეული და ვითომ უაღრესი დემოკრატიზმის დამცველად გამოდიან, მაგრამ ნამდვილად ყველა შავრაზმელი და რეაქციონერებია და მუდამ ეცდებიან რევოლიუციას ძირი გამოუთხარონ. სამწუხაროდ, უნდა აღვნიშნო, რომ სამეგრელოს ერთ-ერთ რაიონში, სახელდობრ სუჯუნისაში, რაიონის კომისრად დაუნიშნავთ ყოფილი პოლიციელი, მაზრის „ნაჩალნიკის“ თანაშემწედ ნამყოფი პიროვნება, ვიღაც ნოდია. მე არ ვიცი, რა საქმე უნდა გაუკეთოს მთავრობის როლში გამოსულმა ექს-პოლიციელმა ნოდიამ გლეხობას. ძნელი სათქმელია, როგორი გულწრფელობით შეასრულებს ეს კომისარი უმაღლესი მთავრობის ბრძანებებს, ეს კია, რომ მისი „რევოლიუციონერობის“ დაჯერება მეტად ძნელია.

შეიძლება უმაღლესმა მთავრობამ შეცდომით დანიშნოს ისეთი პირები, როგორიცაა ბ. ნოდია, ანალოგიურ თანამდებობებზე, მაგრამ ამას ყურადღება უნდა მიაქციოს შეგნებულმა და მოწინავე პირებმა, რომ ისინი უეჭველად გადაყენებულ იქნან, თორემ ცუდ დროს გვიღალატებენ.

ადმინისტრატიულ მუშაობაში, რაც შეიძლება მეტი დაკვირვება და სიფრთხილეა საჭირო, რომ თავი დავაღწიოთ დამღუპველ ანარქიას და შევინარჩუნოთ რესპუბლიკა.

ქ. სარჩიელი.

## წერილი რედ. მიმართ

**ბ-ნი ანდრია ღულაძე.**

ბ-ნი ანდრია ღულაძე ჩემზე მეტათ გაჯავრებულია. ქ. შ. წ.-კ. საზოგადოების უკანასკნელ კრებაზე მე გამოვაცხადე, რომ სამი პირი უნდა გაძევებულ იქნას საზოგადოებიდან, ვინაიდან ისინი მუდამ ჩვენთან იყვნენ და ძველ რეჟიმს კი უწევდენ სამსახურს, რაც ძალი და ღონე შეწევდათ-მეთქი. ეს გამგეობის დადგენილება იყო და მე მხოლოდ გამოვაქვეყნე. ამათ რიცხვში ერია ანდრია ღულაძეც. გუშინ ნოტარიუსის საშუალებით განცხადება გამომიგზავნა, თუ 48 საათის განმავლობაში დამაკმაყოფილებელი პასუხი არ მომეცი, ჩემ საშუალებებს მივმართავო.

მე მგონია, ანდრია ღულაძეს ეხლაც ვერ დავაკმაყოფილებ. მაგრამ მკითხველ საზოგადოებას მაინც უნდა გავუზიარო ზოგიერთი ჩემი შთაბეჭდილება საქმის გამო. გასული წლის 29 მარტს პასტრიულინს ვრცელი ჩვენება ჩამოართვა საგამომძიებლო კომისიამ. აქ მან თავისუფლათ დაასახელა სხვადასხვა პირები, რომელთა შორის ანდრია ღულაძის სახელიც ერია. უკანასკნელმა შეძლებისდა გვარათ კაი სამსახური გაგვიწიაო და დაწვრილებით ჩამოთვალა, თუ რაში მდგომარეობდა ეს სამსახური.

17 აპრილს იმავე პასტრიულინმა სიტყვა-სიტყვით გაიმეორა ის, რაც 29 მარტს აჩვენა, თანაც დაუმატა, მეტ სახელათ მას „ივანოვ“-ს ვეძახდით და ეს მან კარგათ იცოდაო.

ეს ამბები, შეიძლება, დაავიწყდა ბ-ნ ღულაძეს. მაშინ საჭიროა, კიდევ ერთხელ გადაათვალიეროს თავისი საქმე საოლქო სასამართლოში.

თვით მკითხველმა დასდოს თავისი მსჯავრი, თუ რომელი ჩვენებაა სიმართლესთან ახლო: ორჯელ ერთი და იმავეს მტკიცება პასტრიულინის მიერ, თუ მის ოქტომბრის ჩვენება, როდესაც მან წინანდელი ნათქვამი უარყო. ნუ დაივიწყებთ, რომ პასტრიულინის ჩვენება სხვა პირებზე მართალი გამოდგა.

პ. კახიანი.

## ცნობები

ვასილ ლავრენტის ძე გირკელიძე და ისაკი მენაბდე მსახურებდენ მეორე ქართულ მსროლელ პოლკში. ბათუმის აღების დროს ტყვეთ იყვნენ წაყვანილი. განთავისუფლების შემდეგ ესენი არ სჩანან. გთხოვთ თუ ვინმემ რამე იცით მათ შესახებ გვაცნობოთ. ქ. ოზურგეთში. აკაკი მუჯირის დუქანში ან თფილისი მეთორმეტე უბანი. მელქისედეკ კობალავას.

---

ჯარის კაცი საშა იგივე სერგო პლატონისძე მასხულია, მსახურებდა პირველ ქართულ მსროლელთა პოლკში მე-7 როტაში. მცხეთის მახლობლათ ბალშევიკებთან შეტაკების დროს, როგორც გადმოგვცეს იქ მყოფ მისმა ამხანაგებმა დაჭრილა ხელში. შემდეგ იმის არაფერი ვიცით. გთხოვთ თუ ვინმემ რამე იცოდეს მის შესახებ გვაცნობოს შემდეგი მისამართით: დ აბაშა. ილიკო მასხულია

---

ჩემი შვილი არტემ ბესარიონისძე კომახიძე, ბათუმის აღების წინა ხანებში მსახურებდა პირველ ქართულ პოლკში, პირველ როტაში მეორე „ვზვოდში“ „პულემიოტის კამანდაში“. შემდეგ ბათუმის აღებისა გაზეთის საშუალებით გავიგე, რომ სამხედრო ტყვეთ იყო დარჩენილი. მას შემდეგ კი არაფერი ვიცი. გთხოვთ თუ ვინმემ რამე იცით გვაცნობოთ შემდეგი მისამართით: ფოთი, გურიის ქუჩა. მოსე ბაქანიძეს, ბესარიონ კომახიძისთვის.

---

21 ივლისს დილის 12 საათზე სადღაც წავიდა 14 წლის ... ძე გოლიაძე და ... ნებულია. ტანით ... ფეხზე წუღები, თავზე მოწვანო შავი ქუდი ხურავს. თუ ვინმემ რამე იცის ან გაიგოს ამ ბავშის შესახებ ვთხოვ გვაცნობოს შემდეგი მისამართით: თფილისი—ნაძალადევი 1-ლი რაიონის ს. დ. ბიურო, ალექსი გოლიაძეს. 1—1


## განცხადება

თფილისის საქონლის სადგ. გაზ. „ერთობის“ ხელის მომწერთა საყურადღებოთ ვაცხადებთ. რომ ვისაც გასული თვეების ფასი არ გადაუხდია, ვთხოვთ დაუყოვნებლივ გადაიხადონ, წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთის გზავნა შეუწყდებათ და მათი ვინაობა გაზეთში იქნება გამოცხადებული. საჭიროა აგრეთვე ხელის მომწერლებმა 1 აგვისტოდან თვიური ფასი წინდაწინვე გადაიხადონ. (4—2) პატივისცემით საშა ჩიგოგიძე.

**სამკურნალო კაბინეტი**
**ექიმი ალექსანდრე დავ. კეკელიძისა**
მიიღება კანისა, ვენერიულისა და სიფილისიანი ავათმყოფები. (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 118, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ ტელეფონი 14—26.

**კერძო მიხეილის სამკურნალო**
მუდმივი ლოგინებით. ავმდმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 10 საათიდან. მიხეილის პროსპექტი, 167.

**ექიმი დ. ი. ჯაფარიძე**
მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 ს. მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ ტელეფონი 17—49.

**ექიმი ლ. ი. ცაგარელი.**
იღებს ავათმყოფებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანს, ყოველ დღე დილის 8 ნახ. —10 საათ. საღამოს 5—7 საათ. სერგიევის ქუჩა 14, ბინა 2. ტელეფონი 10—82.

**ექიმი ნ. დ. ტურიაშვილი**
მედიცინის დოკტორი მიუნხენის უნივერსიტეტის შინაგან საბავშვო, საბებიო და საქალებო სნეულებით ავადმყოფთ იღებს ყოველდღე შუადღის 12—2 და საღამოს 4—5 საათ. მისამართი: ნიკოლოზის ქუჩა, № 7, სიმონოვის აფთიაქის გვერდით.

**ექიმი ა. დ. ციციშვილი**
შინაგან და ბავშვთა სნეულებანი. ავათმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილით 8—9 საათამდე, სალ. 5—7 ს. ჩერქეზოვის ქუჩა № 14.

**ექიმი ვ. კლდიაშვილი.**
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ-დღეს 5—7 საათამდე. მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 4. კუთხე მიხეილოვის პროსპექტის—კიროჩნი ქუჩის მახლობლათ. ტელეფონი 8—48. ვაჟთა სამკურნალოში იღებს ყოველ-დღეს 12—2 საათამდე.

**ექ. ქალი რ. ბ. შიშლო-სახაშვილი**
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლეჯისა. იღებს ყოველდღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა ბაბებით დარიგებას. სიფილისის შემოწმება ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, სახლი № 83. ტელ. № 9—26.

**ექიმი ნ. ი. მახვილაძე**
იღებს სპეციალურად—მალარიით (ციება) დამის შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავათმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 5—7 საათამდე. ელექტრიზაცია და მასაჟი. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11.

**ექიმი გ. შ. მუხაძე**
იღებს სიდოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—8 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 57; აფთიაქი ეკონომიური საზ. შენობის პირდაპირ, საჟ. სვანიშვილისა. ტელ. № 5—77.

**გაიხსნა თვალის სამკურნალო**
(მუდმივი საწოლებით)
პარიზისა და ვენის უნივერსიტეტის თვალის კლინიკის ყოფილი ასისენტის
**ექიმ დონხინისა.**
იღებს თვალის ტკივილებით ავათმყოფებს დილის 9—1 საათ. და საღ. 4—7 ნახ. საათ. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფ „აპოლოს“ ახლო) მძიმე ავათმყოფები და საოპერაციო პირები მიიღებიან სრული პანსიონით.

ოზურგეთის სავაჟო გიმნაზიისთვის საჭიროა
**გერმანული ენის მასწავლებელი**
რომელმაც უნდა აიღოს რამოდენიმე გაკვეთილი რუსულ ენაშიც.
**თხოვნები დოკუმენტებით მიიღება**
ამ მისამართით: ქ. ოზურგეთი. გიმნაზიის გამგეს ილია ცეცხლაძეს. (3—2)


სოც.-დემ. პარტიის საოლქო კომიტეტთან მოეწყო გაფართოებული სეკრეტარიატი, რომელიც აძლევს პროვინციის ორგანიზაციებს პასუხს ყოველგვარ შეკითხვებზე. სეკრეტარიატი მოთავსებულია „ერთობის“ რედაქციის გვერდით, გოლოვინის ქუჩ. № 12. აქვე ხდება პროპაგანდისტების ჩაწერა პარტიულ ხაქმეებზე სამუშაოთ. ბიურო ღიაა დილის 9—2 საათამდე, საღამოს 5—8 საათამდე. ტელეფონი № 16—62.

მსწრაფლ-მბეჭდავისტამბა რუხაძისა, გაბაევის შესახვევი, № 1.